ნაციონალური მოძრაობა ძალიან საშიშია ქვეყნის მშვიდობისა და სტაბილურობისთვის! ③

REVANCHE

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რომელიც ბოქდ-ვეული სიფფაა, ფფეიფებით და ჭოჭებით ბეჭ-თის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 23 მარტი. 2017 წ. №62 (8199), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ილია II: დაუსრულებლად ეს არ შეიძლება გაგრძელდეს. რუსეთმა უნდა გაათავისუფლოს ჩვენი ტერიტორიები!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე საპატრიარქოში, სკანდინავიისა და ბალტიის რვიანის წევრ ქვეყანათა პარლამენტის თავმჯდომარეებსა და ვიცე-სპიკერებს შეხვდა. შეხვედრის დასაწყისში პატრიარქმა ლატვიის სეიმის თავმჯდომარეს ინარა მურნიეცეს მიმართა და მათი ვიზიტისათვის საქართველოში მადლობა გადაუხადა. პატრიარქმა იმედი გამოთქვა, რომ ლატვიის სეიმის თავმჯდომარის ვიზიტი საქართველოში ნაყოფიერი იქნება და დიდ გავლენას მოახდენს.

„თქვენო აღმატებულებავ, ჩვენ მოხარული ვართ, რომ გვაქვს საშუალება საქართველოს საპატრიარქოში მიგიღოთ 5 ქვეყნის სპიკერები და ჩვენ მადლობას გიძღვნით მხარდაჭერისთვის იმ დროს, როდესაც ძალიან რთულ მდგომარეობაში იმყოფება საქართველო. თქვენ მოგეხსენებათ, რომ ქვეყნის ტერიტორიის 20% დაპყრობილია რუსეთის მიერ და თქვენი თანადგომა და მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. მე 11 წელი ვიყავი აფხაზეთის მიტროპოლიტი. დღესაც ვითვლები ხელმძღვანელი აფხაზეთის ეპარქიისა, მაგრამ მე არ მაქვს საშუალება, რომ ჩავიდე და ყურადღება მივაქციო ჩვენ მორწმუნე ხალხს. მე მოხარული ვარ, რომ თქვენ ინახულეთ ის საზღვრები, სადაც ხელოვნურად დაყოფილია ჩვენი ტერიტორია. დაუსრულებლად ეს არ შეიძლება გაგრძელდეს. რუსეთმა უნდა გაათავისუფლოს ჩვენი ტერიტორიები. ამიტომ თქვენი ჩამობრძანება საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენ მადლობას გწირავთ ამისთვის. მე კიდევ ერთხელ მადლობელი ვარ თქვენი ჩამობრძანებისათვის და დარწმუნებული ვარ, თქვენი ვიზიტი იქონიებს დიდ გავლენას“, — განაცხადა უწმინდესმა შეხვედრაზე.

ლია სტურუა: ბევრს არ გთხოვთ!..

მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია! ④

ახალგაზრდები უნდა დავარწმუნოთ, პოეზია იკითხონ, ფილოსოფია, ისტორია, ამ ჭრილიდან გამოიხედონ და არა ორლობის სივიწროვიდან, რომ ღირსეული მოქალაქეები იყვნენ, რომ ოლიმპიადები, რომლებიც მოიფიქრა ბიძინა ივანიშვილმა, მათი მომავლის უზრუნველსაყოფად, გაგრძელდება და იმ ფართო გზაზე გაიყვანს, იმ ასპარეზს მისცემს, რომელზეც ნ. ბარათაშვილი ოცნებობდა, როცა განჯის უცხო ცა თავზე დაამხეს...

პარლამენტმა პრეზიდენტის ვეტო დაძლია

პარლამენტმა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებულ კანონპროექტზე პრეზიდენტის ვეტო დაძლია. თავდაპირველად კენჭისყრაზე პრეზიდენტის პროექტი დადგა, რომელსაც 22-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, ხოლო წინააღმდეგ ხმა პარლამენტის 86 წევრმა მისცა. ამის შემდეგ პარლამენტის მიერ მიღებულ იმ კანონპროექტს ეყარა კენჭი, რომელსაც პრეზიდენტმა ხელი არ მოაწერა და ვეტო დაადო. უმრავლესობამ აღნიშნულ პროექტს 93 ხმით დაუჭირა მხარი, 21 დეპუტატი წინააღმდეგ წავიდა.

პარლამენტის ამ გადაწყვეტილებით სსიპ-ი ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სისტემაში ჩამოყალიბდება. ფარულ მოსმენა-მიყურადების ექსკლუზიური უფლებამოსილება სწორედ აღნიშნულ სააგენტოს ექნება.

ოპოზიციას ბოლნისში რუსული ტექნიკა მოეჩვენა!..

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, რომ რუსული სამხედრო ტექნიკა, საქართველოს გავლით, ტრანზიტული დანიშნულებით სომხეთის მიმართულებით გადაადგილდებოდა. უწყების მიერ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეს არის არასამხედრო სამოქალაქო დანიშნულების ტექნიკა.

„თავდაცვის სამინისტრო გასცემს ნებართვებს სამხედრო პროდუქციის ტრანზიტზე, თუმცა ამ შემთხვევაში, მსგავსი ნებართვა არ გაცემულა. სამხედრო პროდუქციის ტრანზიტზე წლებია, არც სომხეთიდან და არც რუსეთიდან თავდაცვის სამინისტროსთვის არ მოუმართავთ და, შესაბამისად, არც ნებართვა გაცემულა“!

თბილისიდან კანადაში!..

ქართველი რადამესი ზაზა ზაალიშვილი ⑦

გელა ქოქიაშვილი

ზაზა ფაჩულია მეორე ათასეულს შეუყვა ⑩

ზუგდიდში C ჰეპატიტის მართვის უპრეცედენტო მასშტაბის ცენტრი გაიხსნა

თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ცენტრი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოსა და აშშ-ის ელჩ იან კელისთან ერთად გახსნა.

C ჰეპატიტის მართვის ცენტრში სერვისების სრული სპექტრი იქნება წარმოდგენილი. ბენეფიციარები სკრინინგს, დიაგნოსტიკას, ექიმის კონსულტაციას, რეგისტრაციასა და მედიკამენტებს ადგილზე, ერთი ფანჯრის პრინციპით მიიღებენ. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზუგდიდის მოსახლეობას ცენტრის გახსნა მიულოცა და აღნიშნა, რომ მისი სერვისებით სარგებლობას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ნეიტრალური პასპორტების მქონე პირებიც შეძლებენ.

„C ჰეპატიტის პროგრამის ფარგლებში 35 ათასმა ადამიანმა იმკურნალა. მათგან 25 ათასმა მკურნალობა დაასრულა და 98%-იანი განკურნების მაჩვენებელია, რაც ძალიან დადებითია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ცენტრი მოემსახურება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ნეიტრალური პასპორტების მქონე პირებს. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ აშშ-ის მთავრობამ და კომპანია „გილეადმა“ გაითვალისწინეს ეს ფაქტორი და დაგვრთეს ნება, ნეიტრალური პასპორტების მქონე პირებმა ამ ცენტრში იმკურნალონ. ზუგდიდი შეირჩა იმიტომ, რომ სამწუხაროდ, ამ რეგიონში ს ჰეპატიტის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია და ვფიქრობთ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ცენტრი იფუნქციონირებს ზუგდიდში. მინდა, ამ რეგიონის ყველა მცხოვრებს ვუსურვო ჯანმრთელობა“, — განაცხადა პრემიერმა.

C ჰეპატიტის მართვის პირველი ცენტრი თბილისში გაიხსნა. ქვეყნის მასშტაბით მეორე — უპრეცედენტო მასშტაბის ცენტრისთვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტი რეგიონში ვირუსის გავრცელების მაღალი მაჩვენებლის გამო შეირჩა.

მომავალი წლიდან — 24-საათიანი წყალმომარაგება

ზუგდიდის მოსახლეობა მომავალი წლიდან 24-საათიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი, — წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემის სამშენებლო სამუშაოები საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრ ზურაბ ალავიძესთან ერთად დაათვალიერა. პროექტის ფარგლებში შენდება წყალმომარაგების გამანაწილებელი ქსელი, სატუმბი სადგური და რეზერვუარები, ასევე — წყალმომარაგების მაგისტრალური მილსადენი.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, ადგილობრივ მოსახლეობას ათწლეულების განმავლობაში გადაუჭრელი პრობლემა მოუგვარდება. პროექტის ღირებულება 84 970 765 ლარია და მას აზიის განვითარების ბანკი აფინანსებს. სამუშაოები, რომელზეც 150 ადამიანია დასაქმებული, 2018 წელს დასრულდება.

ტექნოპარკს ევროპელი სტუმრები ეწვივნენ

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ინოვაციების სააგენტოს ტექნოპარკს სკანდინავიურ-ბალტიური რვიანის წევრი ქვეყნების პარლამენტების თავმჯდომარეები ეწვივნენ. უცხოელ სტუმრებს ტექნოპარკში მასპინძლობა გაუწია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ გენადი არველაძემ. მან დელეგაციის წევრებს ტექნოპარკში მიმდინარე პროექტები გააცნო.

დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: დანიის პარლამენტის (ფოლკეტინგი) თავმჯდომარე პია კარსგაარდი; ესტონეთის პარლამენტის (რიიგიკოგუ) თავმჯდომარე ეიკი ნესტორი; ლატვიის სეიმის თავმჯდომარე ინარა მურნიეცე; ლიტვის სეიმის თავმჯდომარე ვიქტორას პრანცკიეტისი; ნორვეგიის პარლამენტის (სტორტინგი) თავმჯდომარე ოლემიკ ტომესენი; ფინეთის პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე არტო სატონენი; ისლანდიის პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე სტეინგრიმურ სიგფუსონი; ასევე შვედეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მარტინა ქვიქი.

სტუმრებმა ტექნოპარკის სივრცე დაათვალიერეს და საგენტოს პროგრამებსა და პროექტებს გაეცნენ. შედგა ორმხრივი შეხვედრა, რომლის მიზანი იყო ნორდიკულ-ბალტიური რვიანის წევრ ქვეყნებთან ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება ინოვაციების, ტექნოლოგიებისა და სტარტაპების განვითარების კუთხით. ასევე, NB8-ის წევრი ქვეყნებისგან გამოცდილების გაზიარება და ქართულ სტარტაპებსა და მათ სტარტაპებს შორის მჭიდრო კავშირების დამყარება. შეხვედრაზე საუბარი შეეხო ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების მიმართულებით ქვეყნებს შორის სამომავლო თანამშრომლობაზე. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ქვეყნის პარტნიორებს ინფორმაცია ჰქონდეთ საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნის მიზნით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და ინოვაციების სააგენტოს მიერ განხორციელებული რეფორმების შესახებ.

„მოსმენების კანონს“ ეროვნული ბანკის შესახებ კანონის ბედი მოელის?!

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შეფასებით, ვეტოს დაძლევის შემთხვევაში, ე.წ. მოსმენების კანონს იგივე ბედი ელის, რაც იყო ეროვნული ბანკის შესახებ კანონის შემთხვევაში:

„დღეს პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს ე.წ. მოსმენების კანონთან დაკავშირებით დეპუტატები პარლამენტში განიხილავენ. დაანონსებულია ვეტოს დაძლევაც, მაგრამ დარწმუნებული ვართ რა პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების შინაარსის სისწორეში, შემიძლია გითხრათ ზუსტი პროგნოზი, რომ ე.წ. მოსმენების კანონს, პრაქტიკულად, ელის იგივე ბედი ვეტოს დაძლევის შემთხვევაში, რაც იყო ეროვნული ბანკის შესახებ კანონის შემთხვევაში“, — განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

ანა მარგველაშვილი: სამართალდამცავ ორგანოებს, მათ გამოძიებას არ ვენდობით

პრეზიდენტის შვილი სუს-ის თანამშრომლების მიერ მის საახლობლოზე მიმდინარე თვალთვალზე საუბრობს.

„ზუსტად ვიცით, სუს-ის თანამშრომლის მანქანა იდგა მინდიას სახლის წინ. არ ვიცი, ჩვენ ეს უნდა მივიღოთ როგორც დევნა და როგორც რეპრესიები, არ ვიცი. დღემდე არანაირი გამოძიება არ ჩატარებულა და დღემდე პასუხგაუცემელი კითხვები გვაქვს ძალიან ბევრი. შესაბამისად, ჩვენ სამართალდამცავ ორგანოებს არც ვაპირებთ, რომ მივმართოთ მსგავსი მუქარის დროს, იმიტომ, რომ არ ვენდობით მათ და მათ გამოძიებას,“ — განაცხადა ანა მარგველაშვილმა. მისი თქმით, მეგობრების სიმართლის დასამტკიცებლად ბოლომდე იბრძოლებს.

ირმა ინაშვილი: როცა პრეზიდენტის შვილი ამას საჯაროდ ამბობს, აუცილებელია, აღიძრას საქმე!

ქვეყნის ნარკოპოლიტიკისა და ხელისუფლების მისამართით გაჟღერებული ბრალდებების შესახებ კომენტარები პარლამენტში კეთდება. პრეზიდენტის შვილის ანა მარგველაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებს „პატრიოტთა ალიანსის“ წევრები ეხმაურებიან და ამბობენ, რომ გამოძიება უნდა დაიწყოს. ირმა ინაშვილის თქმით, ნარკოტიკების ჩადება დაუშვებელია.

„რა მნიშვნელობა აქვს პრეზიდენტის შვილია, თუ უბრალოდ მოქალაქის შვილია და არის მასზე ზეწოლა, თუმცა როცა პრეზიდენტის შვილი ამას საჯაროდ ამბობს, აუცილებელია, აღიძრას საქმე, დაიწყოს გამოძიება, წამლის ჩადების თემა რატომღაც გახდა ბოლო დროს აქტუალური და არაერთი ასეთი ფაქტის მომსწრე გავხდით ჩვენ და მიდის გამოძიება ამ ფაქტებთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ეს უნდა აღიკვეთოს, რა თქმა უნდა, ეს არის მიუღებელი, რა თქმა უნდა, ეს არის დაუშვებელი და ყველა ვინც ამას აკეთებს, ის უნდა დაისაჯოს“ — განაცხადა ირმა ინაშვილმა.

„ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ თითოეულ განცხადებას, რომელიც პრეზიდენტის ოჯახიდან მოდის“

პრეზიდენტის შვილის მიერ გაკეთებული განცხადება საკმაოდ ხმამაღალია, ამიტომ მნიშვნელოვანია, გამოძიება დროულად და ობიექტურად ჩატარდეს, — აცხადებს უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე ანა მარგველაშვილის მიერ გაკეთებული განცხადების კომენტირებისას.

„პრეზიდენტის შვილმა მართლაც ხმამაღალი განცხადება გააკეთა. რაც შეეხება გამოძიებას, რომელიც დაწყებულია კონკრეტულად ამ საქმეზე, ჩვენ მივადევნებთ თვალს და იმედი მაქვს, რომ ეს გამოძიება დროულად, ობიექტურად დასრულდება. ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ თითოეულ განცხადებას, რომელიც პრეზიდენტის ოჯახიდან მოდის“, — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

გიორგი ვოლსკი: თუ პოლიტიკური ოპონენტი გებრძვის და მის შვილს ან ახლობელს რაიმეს ჩაუდებ, ის ოპონენტი ერთი ათად გაძლიერდება

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გია ვოლსკი პრეზიდენტის ქალიშვილის ანა მარგველაშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებებს ეხმაურება და ამბობს, რომ ნარკოტიკების „ჩადება“ არ ხდება.

„ეს ძალიან პრიმიტიულია — თუ პოლიტიკური ოპონენტი გებრძვის და მის შვილს ან ახლობელს რაიმეს ჩაუდებ, დამიჯერეთ, ის პოლიტიკური ოპონენტი კიდევ ერთი ათად გაძლიერდება. მე გარწმუნებთ — ეს ასე არ ხდება. თუ ხელისუფალი ამაზე წამსვლელია, მაშინ მისი რაციონალურობის საკითხი დგება. როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ ამას აკეთებდა, ანადგურებდა თავისი მოწინააღმდეგეების მთელ სპექტრს, მათ შორის, ჯანმრთელობის მოშლის მეშვეობით. მაშინ ეს იყო პოლიტიკური ნება, ეს იყო პოლიტიკური დამოკიდებულება ოპონენტისადმი და ეს იყო სტრატეგია. ხელისუფლებას ასეთი პოლიტიკური ნება რომ ჰქონდეს, ძალიან სულელური სტრატეგია იქნებოდა, რომ ადამიანი, რომელიც გებრძვის მთელი ძალებით, ყველანაირი მეთოდით კიდევ უფრო მეტი შანსი და რესურსი მისცე, რომ ეს ბრძოლა უფრო ინტენსიური გახადო. გამწარების მცდელობა ბავშვურია“, — განაცხადა გია ვოლსკიმ.

REVANCHE

ნაციონალური მოძრაობა ძალიან საშიშია ქვეყნის მშვიდობისა და სტაბილურობისთვის

პოლიტიკური რევანში ნებისმიერ, თუნდაც სისხლიანი სამოქალაქო დაპირისპირების ფასად – ეს გახლავთ ყველა ჯურის ნაცის ერთადერთი გზა პოლიტიკაში თუნდაც პატარა ნიშის შენარჩუნებისა და, რაც მთავარია, ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად.

ფრანგულად, სამაგიეროს გადახდა, მიზღვა ადრინდელი წაგებისათვის. აქედან მოდის რევანშიზმი (**revanchisme**) – სამაგიეროს გადახდის, შურისძიების საბაბით ახალი ომის მომზადების პოლიტიკა. რევანშისტები ეწოდება იმ ადამიანებს, რომლებიც ამგვარ პოლიტიკაში მონაწილეობენ.

დედამიწა შეძრწუნებული იყო – 1945 წლის 6 აგვისტოს, გამთენიისას, ამერიკულმა თვითმფრინავმა იაპონიის ქალაქ ჰიროსიმაში ჩამოაგდო ატომური ბომბი „ბიჭუნა“ (Little Boi). იგივე გაიმეორა სამი დღის შემდეგ, ისევ გამთენიისას, ისევ იაპონიაში, ქალაქ ნაგასაკიში. უბრალოდ, იქ ჩამოგდებულ ატომურ ბომბს სხვა სახელი ერქვა – „მსუქანა“ (ან იქნებ „ბუნჩულა“, „სქელუა“ ან „დანდრაზა“ ჯობდეს – Fat Man).

დაღუპულთა ზუსტი რაოდენობა დღემდე უცნობია – ბევრი მაშინვე დაიღუპა, ბევრი მოგვიანებით, ატომური გამოსხივების გამო. თუმცა, ცნობილია მიახლოებითი ციფრი: ჰიროსიმაში დაიღუპა 140 000 კაცი, ნაგასაკიში – 70 000. მათი აბსოლუტური უმრავლესობა მშვიდობიანი მოქალაქეები იყვნენ.

ამ არნახული ტრაგედიიდან ძალიან მალე, 1945 წლის 2 სექტემბერს, იაპონიამ ამერიკის შეერთებულ შტატებთან უსიტყვო კაპიტულაციას მოაწერა ხელი. ამით დამთავრდა უდიდესი ომი კაცობრიობის ისტორიაში.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და მის ფარისეველ მოკავშირეთა ოფიციალური წრეები ამ ბარბაროსულ აქტს კეთილშობილური ზრახვებიდან გამომდინარედ წარმოგვიჩენენ – ჰიროსიმა-ნაგასაკის ატომური დაბომბვა რომ არა, იაპონელთა კარგად შეიარაღებული, იშვიათი ბრძოლისუნარიანობით გამორჩეული არმია ომს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე გააგრძელებდა და მას გაცილებით მეტი სიცოცხლე შეეწირებოდა.

მივაგოთ კეისარს კეისრისა – ამ მსჯელობაში არის ჭეშმარიტების მარცვალი: იაპონურმა ტრაგედიამ, ალბათ, მართლაც დააჩქარა მეორე მსოფლიო ომის დასასრული.

ჰიროსიმა-ნაგასაკის ელვარე ტრაგედიით ამერიკამ ბერლინი-რომი-ტოკიოს თანამგრძნობებს, ანტიჰიტლერული კოალიციის წევრებს და, უპირველეს ყოვლისა, მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების მთავარ შემოქმედს, საბჭოთა კავშირს, პირადად მსოფლიო პროლეტარიატის დიდ ბელადს, იოსებ სტალინს, საკუთარი ძლევამოსილება (და დაუნდობლობაც!) დაანახვა. თუმცა, ამაოდ – სტალინის დაშინება-მოთვინიერება თვით ამგვარი ბარბაროსობითაც კი შეუძლებელი გახლდათ.

თუმცა, არის კიდევ ერთი გარემოება, რაზე საუბარსაც უკვე მრავალი წელია, დელიკატურად გვერდს ვუვლით და რისთვისაც ეს საზარელი ისტორია გავიხსენე.

1941 წლის 7 დეკემბერს აშშ-ის წყნარი ოკეანის პერლ-ჰარბორის სამხედრო-საზღვაო ბაზას კუნძულ ჰავაიზე მოულოდნელად თავს დაესხა იაპონური ავიაცია. ფაქტობრივად, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე დაიღუპა 2500-მდე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე, 21 საბრძოლო ხომალდი, 3 ავიამზიდი, 188 საბრძოლო თვითმფრინავი, იარაღის საწყობები. იმავე დღეს იაპონურმა ავიაციამ ასევე მიწასთან გაასწორა ამერიკელთა სამხედრო-საჰაერო ბაზა ფილიპინებზე...

ეს გახლდათ მომაკვდინებელი დარტყმა მსოფლიოს სუპერ-სახელმწიფოდ აღიარებული ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტზე, მისი არმიის უძლეველობაზე. ამავე დროს, გერმანიის მოკავშირე იაპონიის ამ ქმედებამ რადიკალურად შეცვალა აშშ-ის საგარეო პოლიტიკა – აიძულა იგი უარი ეთქვა დამკვირვებლის როლზე და სასწრაფოდ შეერთებოდა კოალიციას.

ვფიქრობ, 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს ჰიროსიმასა და ნაგასაკიზე ატომური თავდასხმა იყო ამერიკის შეერთებული შტატების რევანში (revanche), შურისძიება 1941 წლის 7 დეკემბერს პერლ-ჰარბორისა და ფილიპინების სამხედრო ბაზებზე იაპონელთა არანაკლებ ბარბაროსული თავდასხმის გამო.

რევანში ურთიერთობის საკმაოდ მიღებული და აღიარებული ფორმაა სპორტში, განსაკუთრებით, კრივსა და ჭადრაკში, სადაც დამარცხებულ მხარეს ოფიციალურად საშუალება ეძლევა კიდევ ერთხელ გაეჯიბროს გამარჯვებულს და თავისი შესაძლებლობები კიდევ ერთხელ გამოავლინოს. მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში კი, ალბათ, სამუდამოდ დარჩება ესპანური „ბარსელონასა“ და ფრანგული „პარი სენ-ჟერმენის“ 2017 წლის 9 მარტის შეხვედრა, როცა ორი კვირით ადრე კატასტროფული დამარცხების შემდეგ (0:4!) კატალონიურმა გუნდმა ფრანგებს 6:1 მოუგო! ამით იმის თქმა მინდა, რომ რევანში ყოველთვის არ არის შურისძიება ამ ტერმინის ყველაზე ნეგატიური გაგებით.

კაცმა რომ თქვას, კაცობრიობის ისტორია რევანშისტული ქმედებებისა (ანგარიშსწორებების) და რევანშისტული თეორიების (შურისძიების, სამაგიეროს მიზღვის აუცილებლობისა და მისი გამართლების) ისტორიაა. გავიხსენოთ, თუნდაც, ინგლის-საფრანგეთის, პრუსია-საფრანგეთის, რუსეთ-თურქეთის, სხვა ქვეყნების მრავალსაუკუნოვანი სისხლიანი დაპირისპირებები. სამწუხაროა, მაგრამ ამ მხრივაც საქართველოს ისტორია გამონაკლისი სულაც არ არის. შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენი უახლოესი წარსული გავიხსენოთ.

პოლიტიკურ რევანშად, შურისძიებად შეიძლება შეფასდეს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილება უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოდან კომუნისტური პარტიის კვოტით არჩეული 40 დეპუტატის გარიცხვის თაობაზე; პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთა ერთი ნაწილის მიერ მოწყობილი ამბოხი მათივე ბელადის წინააღმდეგ 1991 წლის დეკემბრის მიწურულს, რაც 6 იანვარს გამსახურდიასა და მისი ხელისუფლების დამხობით დამთავრდა; გამსახურდიასა და მისი ერთგული რაზმების მცდელობა ხელისუფლებაში დასაბრუნებლად 1992 წელს, რაც, საბოლოოდ, ქვეყანაში სისხლიანი სამოქალაქო დაპირისპირებისა და აფხაზეთის დაკარგვის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქცა ...

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სააკაშვილის რევანშისტული პოლიტიკური მოღვაწეობა. ახალგაზრდა სააკაშვილი მეტ-ნაკლებად ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ფიგურად სწორედ ედუარდ შევარდნაძის მონდომებითა და მფარველობით ჩამოყალიბდა (შევარდნაძეს, ალბათ, ჰქონდა ამის საბაბი). სააკაშვილიც შესანიშნავად სარგებლობს მსოფლიო სახელის მქონე უფროსი კოლეგის გვერდში დგომით. უკვე 1999 წლიდან კი პოლიტიკურად მომწიფებულ-მოღონიერებული სააკაშვილი გამზრდელის კრიტიკას იწყებს. ეს არის ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კარგად გათვლილი და ბრწყინვალედ დადგმული სპექტაკლი – შევარდნაძის ხელით გამოზრდილი უცნობი ბიჭუნა შევარდნაძის დაუნდობელი და თავზეხელაღებული ლანძღვა-გინებით უდიდეს პოპულარობას იხვეჭს. „მამაცი ბიჭის“ იმიჯს რომ თავი დავანებოთ, ამით იგი გულუბრყვილო ამომრჩეველს იმაშიც არწმუნებს, რომ მის პოლიტიკურ კარიერაში მშობელ მამაზეც მეტად მოამაგე შევარდნაძეს არავითარი წვლილი არ მიუძღვის. 2003 წლის ნოემბრისთვის სააკაშვილისა და მისი რევანშისტული ჯგუფისთვის ხელისუფლებაში მისასვლელად ყველა კარი ღიაა: აშკარა და ფარული ბრძოლებით დაღლილი, ფარისეველთა ალყაში მოქცეული ედუარდ შევარდნაძე; ქვეყნის მეტ-ნაკლებად სტაბილური პოლიტიკური და სოციალური ვითარება; დალაგებული საერთაშორისო ურთიერთობები; პოლიტიკურ მოუსავლეთში გაგზავნილი შეიარაღებული დაჯგუფებები; რადიკალურ რეფორმებს მოწყურებული საზოგადოება; კარგად დაფინანსებული და ორგანიზებული ქუჩის აქციები; „ახალგაზრდა რეფორმატორებისადმი“ რუსეთ-ამერიკის დეკლარირებული მხარდაჭერა...

სიმბოლურია, რომ საბოლოო წერტილის დასმა საქართველოში მოვლინებულ კრემლის ემისარს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ივანოვს ევალება – იგი ჯერ სააკაშვილის დაჯგუფებას ეთათბირება, მერე პრეზიდენტ შევარდნაძეს ხვდება და მას „სახლში წასვლას“ ურჩევს.

მოსკოვის კრემლსაც რევანშის დაუძლეველი წყურვილი ამოძრავებს – შევარდნაძე ხომ ის პოლიტიკური მოღვაწეა, ვისაც გორბაჩოვთან და სხვებთან ერთად უდიდესი წვლილი მიუძღვის მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობისა და თვით ძლევამოსილი საბჭოეთის უსახელო აღსასრულში. ნუ ვიქნებით უმადურები – შესაბამისად, მას წვლილი მიუძღვის ყველა ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და, მათ შორის, საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებაშიც.

იხ. 5 გვ.

პრეზიდენტი საპარლამენტო საქმიანობაში იჭრება

საპარლამენტო საქმიანობაში შეჭრად აფასებს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია პრეზიდენტის ვეტოს – პარლამენტისთვის ასეთი მითითების მიცემა, თუ სად უნდა იყოს კონკრეტული სააგენტო, რაც პრეზიდენტის შენიშვნებშია, მე ვფიქრობ, ეს საპარლამენტო საქმიანობაში პირდაპირ შეჭრაა, – განაცხადა ბესელიამ

„მე ვფიქრობ, რომ სრულიად აღრევა მოხდება კონსტიტუციური პრინციპების, თუ კი არ გაიმიჯნა ფუნქციები, რა არის საკანონმდებლო ორგანოს საქმე, რა არის პრეზიდენტის და რას აკეთებს საკონსტიტუციო სასამართლო. ასეთ დავალებებს კანონმდებლები არავისგან უნდა ვიღებდეთ. მე, პრინციპულად მიმაჩნია, რომ პარლამენტმა, რომელიც დღეს საკონსტიტუციო უმრავლესობითაა წარმოდგენილი და იღებს პასუხისმგებლობას მიღებულ კანონზე, საკონსტიტუციო სასამართლო ამოწმებს კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხებს.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრეზიდენტმა დაგვიწეროს ჩვენ მოდელი. მაშინ სრულიად აღრევა მოხდება პრეზიდენტის ინსტიტუტის საკანონმდებლო ფუნქციაში. ძალიან პრინციპული საკითხია, რომ შენიშვნები კანონების კონსტიტუციურ ჭრილში განხილვას ეხებოდეს და არა იმას, კონკრეტული სააგენტო რომელი აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურის ქვეშ იქნება. ვფიქრობ, რომ ასეთ საკითხებზე ვეტოს გამოყენების უფლება ეს არის პრინციპულად არასწორი გაგება ამ პოლიტიკური მოვლენების. ამიტომ, ალბათ, საჭიროა რომ ყველაფერი გააზრებული იყოს. შესაბამისად ასეთ არგუმენტებს ვერ გავიზიარებთ“, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

◎ წვრილშვილნი წამოგესწრნენ!

„მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია!“

უკვე რახანია გაუთავებელი აღშფოთების და სარკაზმის საგნად არის ქცეული ახალგაზრდების გაუნათლებლობა, აქედან წამოსული, ლამის არაადეკვატურობა, ნ. მუსხელიშვილის ძეგლი რომ დავით აღმაშენებლის ძეგლად მიაჩნიათ, დიდი ხნის გარდაცვლილ ელენე ახვლედიანთან ინტერვიუზე რომ მიდის, როგორც ცოცხალთან, ახალგაზრდა ჟურნალისტი და ა.შ.

და აი, უკვე რამდენიმე წელია, მე, რომელიც, როცა ი. ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ლექციებს ვკითხულობდი და სულ ვირიდებდი მისაღებ გამოცდებში მონაწილეობას, ვარ ჟიურის წევრი სამოქალაქო განათლების სასკოლო ოლიმპიადის და 10 საათიც რომ დამჭირდეს მუშაობა, სიხარულის გრძნობა არ მტოვებს მთელი დღის მანძილზე. ცოტა ხმამაღლაა ნათქვამი? კი, ჰიპერბოლა ჩემთვის უცხო არ არის, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ტექსტი სრულიად რეალისტური მაქვს: — ახალგაზრდებს სჭირდებათ სტიმული, წახალისება, რომ მათი პოტენციური ნიჭი მოქმედი გახდეს, რომ იკითხონ, ანალიზი აკეთონ, წერონ, არგუმენტირებულად დაიცვან თავიანთი ნაშრომი, ზოგჯერ პოეტური ტალანტიც აღმოაჩნდეთ. ტალანტის ნერვი მესამე თვალივითაა, ნივთიერად არ ჩანს.

ახალგაზრდას, როგორი ნიჭიერი და ინტელექტუალურიც არ უნდა იყოს, გამოცდილება აკლია, მაგრამ ზოგიერთ მათგანს უკვე ისეთი პოლიტიკური და მოქალაქეობრივი ალღო გააჩნია, უმაღლესის დამთავრების შემდეგ სადაც უნდა გაუშვა, ჩინებულად იმუშავებს. ალბათ, ყველაზე სწორი, ყველაზე ქმედითი და შორსგამხედავი ნაბიჯია ახალგაზრდობისთვის ყურადღების მიქცევა, მათ განათლებაში ფულის ჩადება.

ამ კონკურსში გამარჯვებულებს ოქსფორდსა და კემბრიჯში აგზავნიან რაღაც დროით და ყველაზე უფრო მათი იმედი უნდა გვქონდეს, ვინც უკეთეს მომავალზე ფიქრობს. რატომღაც გაუთავებელი ნეგატივისა და მძიმე ენერგეტიკის პირობებში ამაზე არ ლაპარაკობენ ტელევიზიაში, პრესაში, (კომპიუტერთან მე ურთიერთობა არა მაქვს) და რამდენი ასეთი პროექტია კიდევ, რომელიც ერთ დღეში ვერ განხორციელდება.

არ ვიცი, იქნებ, სოციალურ-პოლიტიკური განათლება მაკლია, მაგრამ მე ვერ გავიხსენებ პოლიტიკაში ვერც ერთ მოღვაწე ადამიანს, ვინც 30 წელი მატერიალურად ეხმარება ნახევარ საქართველოს, კი, იმათ, ვისაც რაღაც გაუკეთებია ქვეყნისთვის, აქედან გამომდინარე, ვისაც იცნობს, ხოლო ქუჩაში რომ ყოველი მეორე იტყვის: — რატომ მე არაო, და ამაზე აპელირებენ ზოგიერთები, იქნებ, ბიბლია წაიკითხონ! ამაზე დახარჯული დრო ის ოქროა, ტვინს რომ გაუნათებს ადამიანს.

გვარებს არ დავასახელებ და რამდენი ღირსეული და ელვარე ნიჭის ადამიანი გადაარჩინა სიკვდილს ბიძინა ივანიშვილმა!

მე კიდევ ერთი, ჩემი განკერძოებული დამოკიდებულება მაქვს მასთან. როცა რუსთაველზე ჭადრები მოჭრეს და დავით აღმაშენებლის გამზირი გაპარსეს, სადაც ვცხოვრობდი ოდესღაც და სკოლაში დავდიოდი, ისეთი გრძნობა გამიჩნდა, რომ სამშობლოში ვარ და სამშობლო მენატრება.

და რაც კიდევ უფრო მთავარია, ჩვენ ვაჟა ფშაველას შვილები ვართ, რომელიც ამბობდა: — ხომ ვიცი, რომ ქვას ტვინი არა აქვს, მაგრამ რომ ფიქრობსო?

ხე რომ ფიქრობს და უფრო მკაფიოდ გამოხატავს ამას ფოთოლცვენით, აყვავებით, პირველი სიმწვანე რომ ტკივა და ნეშოსფერი უფრო მშვიდი აქვს, ამას თუ არ გრძნობს და არ უყვარს, ისე ადამიანი არ ამოიღებს ასწლოვან მშვენიერ ხეს იქიდან, სადაც ვიღაცამ შეიძლება გამოიაროს, მოჭრას ეს ხე, ცეცხლი დაანთოს, ძაღლებმა მიაშარდონ, რომ გადაიტანოს ისეთ ადგილას, სადაც უვლიან, ადამიანები მოდიან, უყურებენ: ზოგს წუთიერად უხარია, ზოგი — არა გულგრილ მაყურებლად, მოწმედ, არამედ ბუნების შემადგენელ ნაწილად გრძნობს თავს, ეს დანაშაული კი არაა არამედ განხორციელებული ბაღის იდეა, ღვთაებრივი ბაღის:

„მე ჯოჯოხეთისთვის,
ამ ბედისწერისთვის
ღმერთო, მისახსოვრე ბაღი სიბერეში!“

(მ.ცვეტაევა)

ღმერთო, გაგვახსენე, რომ ჩვენც ვაჟა ფშაველას შვილები ვართ! კი, არავინ არ აპირებს ვაჟას შეედაროს, მაგრამ ამის გამასხრებაც შეიძლება, უკუღმა ამოტრიალება, დემაგოგია, ისტერიკა.

ერთ ნაცნობს შევხვდი ქუჩაში ოპერის გახსნის მეორეს დღეს. — რა გიხარიაო? მკითხა — თეატრები-მეთქი, ოპერა, რუსთაველი, მარჯანიშვილი და კიდევ ბევრი რამე, რაც უნუგეშოდ დანგრეული მეგონა, — რა მოხდა მერე, რად გვინდა ეს თეატრები, როცა... აღარ გავაგრძელებინე, წამოვედი და გამახსენდა, ოქტომბრის რევოლუციის დღეებში რახმანინოვის სახლში რომ შევარდნენ და როიალი გადმოუგდეს ფანჯრიდან.

ამიტომ ახალგაზრდები უნდა დავარწმუნოთ, პოეზია იკითხონ, ფილოსოფია, ისტორია, ამ ჭრილიდან გამოიხედონ და არა ორღობის სივიწროვიდან, რომ ღირსეული მოქალაქეები იყვნენ, რომ ოლიმპიადები, რომლებიც მოიფიქრა ბიძინა ივანიშვილმა, მათი მომავლის უზრუნველსაყოფად, გაგრძელდება და იმ ფართო გზაზე გაიყვანს, იმ ასპარეზს მისცემს, რომელზეც ნ. ბარათაშვილი ოცნებობდა, როცა განჯის უცხო ცა თავზე დაამხეს...

„ცისა ფერს, ლურჯსა ფერს, პირველად ქმნილსა ფერს“ — თუ ეს რომანტიზმი ეუცხოებათ, ილია ჭავჭავაძე ხომ დღევანდელივით რეალისტურია:

წვრილშვილნი წამოგესწრნენ,
ნაზარდნი, გულმტკიცები,
მათი ზრუნვის საგანი შენ ხარ და
შენ იქნები,
არ გიმტყუნებენ
შენა, თუკი მათ
მიენდობი
მათ ახალთ
აღგიდგინონ შენ
დიდების დღენია!
ჩემო კარგო
ქვეყანავ, მაშ რად
მოგიწყენია?

ლია სტურუა

ხარჯი უფრო სწრაფად იზრდება თუ შემოსავალი?

საქართველოში საშუალო ხელფასი იზრდება, მაგრამ მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა ეცემა. ამის მიზეზი ინფლაცია და ლარის დევალვაციაა. თუკი ვინმეს, შემოსავალი ეზრდება, მას მაშინვე შთანთქავს კიდევ უფრო მეტად გაზრდილი ხარჯი. დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 2016 წლის მე-4 კვარტალში 1065,9 ლარი იყო. ეს ნიშნავს, რომ წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დასაქმებულთა ოდენ 54 ლარით გაიზარდა მაშინ, როდესაც სწორედ ამ პერიოდში მკვეთრად გამოხატული იყო ინფლაცია და ეროვნული ვალუტის დევალვაცია. ამან მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა საგრძნობლად შეასუსტა, შესაბამისად, ანაზღაურების მატების სიკეთე ლარის გაუფასურებამ და ფასების ინდექსის ზრდამ აბსოლუტურად შთანთქა.

„საქსტატის“ ცნობით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი საქმიანობის სახეების მიხედვით 2016 წლის IV კვარტალში ყველაზე დაბალი განათლების სექტორშია და 589,2 ლარს უტოლდება, ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი კი საფინანსო სექტორში დაფიქსირდა და 2023,9 ლარი შეადგინა. მას 1643,6 ლარით სამშენებლო სექტორი მოსდევს. საშუალოდ 1375,7 ლარის ანაზღაურება აქვთ უძრავი ქონებისა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევის სექტორში. თვეში საშუალოდ 1346,8 ლარს იღებენ ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში დასაქმებული ადამიანები. საშუალოდ 1255,3 ლარითაა განსაზღვრული ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოებისა და განაწილების სექტორში დასაქმებულთა ხელფასი.

2016 წლის IV კვარტალში თვეში საშუალოდ 1 000 ლარზე მეტ ხელფასს ასევე იღებენ სახელმწიფო მმართველობასა და თავდაცვა-მეთევზეობაში დასაქმებული ადამიანები. თვეში საშუალოდ 1 000 ლარზე ნაკლები აქვთ ხელფასი სოფლის მეურნეობაში, ნადირობა და სატყეო მეურნეობაში, დამამუშავებელ მრეწველობაში, ვაჭრობის, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის, სასტუმროებისა და რესტორნების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის სექტორებში დასაქმებულ ადამიანებს.

ხელფასის ზრდის საკითხი ასე მწვავედ არ იდგებოდა ქვეყანაში, რომ არა მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა, ინფლაცია და ლარის გაუფასურება. საქართველო იმპორტზე დამოკიდებული ქვეყანაა და ეს კომპონენტები გავლენას ახდენს შინამეურნეობების ხარჯის ზრდაზე. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ პროდუქციაზე ფასი ლარის მკვეთრი დევალვაციის პროპორციულად არ გაზრდილა. **„დავთავლოთ იმ საქონლის ფასები, რისი ყიდვაც ჩვენი საშუალო ხელფასით გვინდა, აღმოჩნდება, რომ იმ საქონლის დიდი ნაწილის ფასი მცირდება. ჩვენ ვართ იმპორტდამოკიდებული ქვეყანა, საქონლის 70%-ზე მეტი უცხოეთიდან შემოდის. იმ ქვეყნების ვალუტებმაც ასევე განიცადეს დევალვაცია დოლართან მიმართებით, ამიტომ ჩვენ ერთეული იმპორტის ღირებულება საგრძნობლად შეგვიმცირდა. შეიძლება ხელფასების დინამიკა გავაკეთოთ წლების მიხედვით, მაგრამ მათი მსყიდველუნარიანობა უნდა განვსაზღვროთ კონკრეტულ სასაქონლო ჯგუფთან მიმართებით. პირობითად, 2013 წელს რამდენი კილოგრამი ხორცის ან ბრინჯის შეძენა შეგვეძლო, კარტოფილის, კარაქის და ა.შ. ეს უნდა შევადაროთ ახლა რამდენის შეძენა შეგვიძლია და ამის მიხედვით უნდა მოხდეს გაანალიზება“,** — აცხადებს სოსო არჩვაძე.

ოფიციალურ ინფლაციას თუ ვენდობით, ამ მხრივ შარშანდელი წელი სულაც არ ყოფილა პრობლემური. 2016-ში ინფლაციამ 2%-საც ვერ გადააჭარბა. ასე რომ, ციფრებში ყველაფერი რიგზეა.

ბეჟა დანელია

პრემიების გაცემისა და აღების საკითხში კახეთი და მხარის გუბერნატორი ლიდერობს

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში 2016 წელს, წინა წელთან შედარებით, გაცილებით მეტი დანამატი გაიცა.

კვლევის თანახმად, ჩამოთვალეთ სწორედ კახეთი და მხარის გუბერნატორი ლიდერობს. ახლად დანიშნულმა ირაკლი ქადაგიშვილმა პრემიების გაცემისა და აღების საკითხში წინამორბედს გადააჭარბა. თავად გუბერნატორი ამ ინფორმაციას უარყოფს.

ჯამბულ გამცემლიძე:

მიხეილ სააკაშვილს დღესაც სისხლი სწყურია!

ARASASAMTAVROBO ORგანიზაციის „გადაარჩინე სიცოცხლე“ დამფუძნებელი, მოკლული გიორგი გამცემლიძის მამა ჯამბულ გამცემლიძე „რეპორტიორთან“ საუბარში ბათუმში განვითარებულ მოვლენებს შეეხო და განაცხადა, რომ ეს აქცია მიხეილ სააკაშვილის მიერ იყო დაგეგმილი. აქვე, მან მადლობა გადაუხადა სამართალდამცავებს, რადგან მშვიდობიანად მოხდა აქციის დაშლა და არავინ დაშავებულა.

ჯამბულ გამცემლიძემ „რუსთავი-2“-ის საქმეზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ არხი უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მესაკუთრეს.

— თქვენი შეფასებით, ბათუმში გამართული აქცია ეს იყო პოლიციის მიერ გამოწერილი ჯარიმის გაპროტესტება თუ წინასწარ დაგეგმილი პროვოკაცია?

— ბათუმში გამართული აქცია დაგეგმილი იყო საქართველოს ფარგლებს გარეთ, გამომდინარე იქიდან, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ თავი, ყველაზე დიდი ნაძირალა მიხეილ სააკაშვილი არის ჩვენს საზღვრებს მიღმა და მას იქ არავინ უშლის ხელს, რომ საქართველოდან თავისთან მიწვეული ჰყავდეს არასამთავრობო ორგანიზაციები, ის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რასაც ჰქვია „ნაციონალური მოძრაობა“ და ასე რუდუნებით დაგეგმოს აქცია, რაც ჩვენ ბათუმის ქუჩებში ვიხილეთ. ეს იყო წინასწარ გათვლილი ქმედებები, რასაც აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა ვიღაცის სიკვდილი, რადგან მიხეილ სააკაშვილი დღემდე ვერ ისვენებს და სისხლი სწყურია. სააკაშვილი არის საქართველოს მოქალაქეების პირველი მტერი, რომელიც ისე ვერ ძლებს, თუ დროდადრო ვიღაც არ მოკვდა და ამ სიკვდილზე რაღაც მოვლენები არ ააგო. მიხეილ სააკაშვილი იმიტომ არის ასეთი დაგეშილი, რომ მას უნდა ხელისუფლებაში მოსვლა და ასე ფართხალებს, აღარ იცის, როგორ მოიქცეს.

— სამართალდამცავების მუშაობას როგორ შეაფასებთ?

— ჩვენი სამართალდამცავების მისამართით საქებარი სიტყვები უნდა ითქვას, რადგან მათ ჭკუით და ძალიან კარგად იმოქმედეს, ერთი ნაკაწრიც კი არავის მიუღია, ისე დაშალეს აქცია.

მოვუწოდებ მათ, არავითარი შეღავათი არ მისცენ არავის. იმიტომ, რომ ამ ადამიანებმა საქართველოში პირველად დაიწყეს ჩემი ქვეყნის დარბევა, დაწვეს მანქანები, ქუჩები, ქვაფენილები აყარეს, შუქნიშნები მოტეხეს და ა.შ. დღიდან მიტინგებისა, როდესაც 1988 წლის 12 ნოემბერს თბილისში პირველი აქცია ჩატარდა, ყველა მათგანზე ვყოფილვარ და არსად ასეთი ვანდალური აქტი არ მომხდარა. მადლობა უფალს, რომ გადავრჩით და ეს ვანდალური აქტი სწორად და კარგად იქნა აღკვეთილი. მადლობა სამართალდამცავებს, რომ მსხვერპლი არ იყო. მე და ჩემი ორგანიზაცია ძალიან განვიცდით იმ სამართალდამცავების ჯანმრთელობის მდგომარეობას, რომლებიც სპეცოპერაციის დროს დაშავდნენ.

— არის მოსაზრებები, რომ ხელისუფლების რეაგირება დაგვიანებული იყო, თქვენ როგორ ფიქრობთ?

— „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა, სხვა ოპოზიციურმა პარტიებმაც გამოჰყვეს თათები და ამბობდნენ, რომ ხელისუფლების რეაგირება იყო დაგვიანებული. რაც არ უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, ოპოზიცია იმ წუთში მონახავს საბაბს იმისა, რომ ვიღაცა გააქილიკოს, ჩაწიხლოს, დაამციროს. ჩემი სუბიექტური აზრია, რომ ჩვენი სამართალდამცავები მოიქცნენ ძალიან კარგად, ვფიქრობ, რომ დროულად. როგორც ადამიანი, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვისათვის იბრძოდა და იბრძვის დღესაც, მივესალმები მიტინგის ასეთი სახით დაშლასაც, მივესალმები ყველა იმ გონიერ ადამიანს, რომელმაც ასე უმსხვერპლოდ ჩაატარა ეს სპეცოპერაცია.

— როგორ შეაფასებთ „რუსთავი-2“-ის საქმეზე სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას?

— მე, როგორც მოქალაქეს, ძალიან მაწუხებს „რუსთავი-2“-ის საქმე. სტრასბურგის სასამართლომ ნაუცბათევად შეაჩერა აღსრულება. ეს სიტუაცია მაგონებს ტელევიზიებით გაშუქებულ იუმორისტულ გადაცემებს — ჩვენ მაგივრად რომ იცინიან და უკრავენ ტაშს. ჩვენი სასამართლო არაფრად არ მიიჩნიეს და ევროპაში წყდება ჩვენი სამართალი.

ასევე, მინდა შევეხო გადაცემაში „განსხვავებული აქცენტები“ ზაქარია ქუცნაშვილსა და ეკა კვესიტაძის შორის დაპირისპირებას. ძალიან ნასიამოვნები დავრჩი, რადგან ცაიტნოტში აღმოჩნდა ქალბატონი ეკა კვესიტაძე, რომელიც იმ სიმღერას მღერის, რაც სააკაშვილმა შეუკვეთა.

„რუსთავი-2“ არის ის საწამლავი, რომელიც ნელ-ნელა წამლავს ჩვენს საზოგადოებას. ვფიქრობ, „რუსთავი-2“ უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს. ამ არხზე მომუშავე ჟურნალისტებმა კი, მხოლოდ სიმართლე უნდა თქვან.

— დიმიტრი ობოლაძემ დატოვა „რუსთავი-2“...

— ღმერთმა ქნას, ყველა წავიდეს იქიდან, ვინც ადამიანებს წვეთ-წვეთობით წამლავენ. ეს ის „რუსთავი-2“ იყო, რომელმაც ჩვენი პირტიტველა ბიჭი ბუტა რობაქიძე ყაჩაღად შერაცხა... იმის მერე, „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტების აღარაფერი მწამს.

მარიამ პაიჭაძე

ლიბერთი ბანკი მიუსაფრებს ეხმარება

22 მარტს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში, სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ზაზა სოფრომაძემ და ლიბერთი ბანკის გენერალურმა დირექტორმა ალექსი ხოროშვილმა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის ფარგლებში ლიბერთი ბანკი 1 წლის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ 50-ზე მეტ მცირე საოჯახო ტიპის სახლის და მიუსაფართა თავშესაფრის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის საფასურის სრულ ანაზღაურებას უზრუნველყოფს. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ბანკმა ამ მიმართულებით საკმაოდ სოლიდური სახსრები გაიღო. მცირე საოჯახო ტიპის სახლებში სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი 322 ბავშვი ცხოვრობს, მათ შორის 25 შშმ პირია. მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრებში და დღის ცენტრებში ყოველდღიურად მომსახურებას ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე 157-მდე ბავშვი იღებს. ბავშვები საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილების გარდა, ასევე იღებენ ისეთ მომსახურებებს, როგორიცაა ფსიქოლოგიური დახმარება, ფორმალურ განათლებაში ხელშეწყობა, კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში ჩართვა, პროფესიული და სახელობო უნარ-ჩვევების განვითარება.

„მინდა, კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ლიბერთი ბანკს მხარდაჭერისთვის! ლიბერთი ბანკთან თანამშრომლობით შევძელით 53 მცირე საოჯახო ტიპის სახლის და მიუსაფართა თავშესაფრის კომუნალური გადასახადების გადახდის უზრუნველყოფა. გამოთავისუფლებული ფულადი სახსრები კი საშუალებას მოგვცემს ვიზრუნოთ ამ ცენტრების ბენეფიციარების სხვა პრობლემების და საჭიროებების მოგვარებაზე,“ — აღნიშნა სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ზაზა სოფრომაძემ.

დაკავებული მოქალაქე სასამართლომ სრულად გაამართლა

ბათუმის მოვლენებთან დაკავშირებით დაკავებული ერთ-ერთი მოქალაქე სასამართლომ სრულად გაამართლა. ადმინისტრაციულ საქმეზე ბათუმელ გიგა ჩხაიძეს პოლიციისადმი დაუმორჩილებლობასა და წვრილმან ხულიგნობას ედავებოდნენ. მის ინტერესებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია წარმოადგენდა. ადვოკატმა მოსამართლეს ვიდეოჩანაწერი გააცნო, რომლიდანაც გაირკვა, რომ ჩხაიძე დაკავებამდე 15 წუთით ადრე მშენებლობაზე მუშაობდა, მისი აყვანა კი მისსავე ავტომობილიდან მოხდა, როდესაც ის სახლში ბრუნდებოდა.

REVANCHE

ნაციონალური მოძრაობა ძალიან საშიშია ქვეყნის მშვიდობისა და სტაბილურობისთვის

(მესამე გვერდიდან)

— გაბელადებულმა მიშა სააკაშვილმა თავის ხალხს, თავის მტერ-მოყვარეს, შინაურსა თუ გარეულს უნდა დაუმტკიცოს, რომ იგი არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილი მშიშარა და ჭირვეული ბიჭუნა კი არა, თანამედროვე მსოფლიოს ერთი უდიდესი რეფორმატორია; რომ პოლიტიკის მწვერვალებს სხვათა შემწეობით და ბედის ირონიით კი არა, თავისი ნიჭით, ბრძოლითა და სიმამაცით შეწვდა.

უნიჭო, ლაჩარი და ღორმუცელა „ბიჭუნასთვის“ ამის მისაღწევად ერთადერთი გზა არსებობდა — რევანშისტული შურისძიება მომხრეებზე და მოწინააღმდეგეებზე, ცოცხლებზე და გარდასულებზე, მოაზროვნე საზოგადოებაზე, თვით ისტორიულ ძეგლებზე და სიმბოლოებზეც კი...

საკუთარ ხალხზე სააკაშვილის შურისძიების დასტურია ასი ათასობით ადამიანის გასამართლება და ციხეებში გამოკეტვა, საზარელი დემონსტრაციული მკვლელობები, უსასტიკესი დარბევები, კარიკატურული „გახსნები“ და „ხალხში გასვლები“, საკუთარი პერსონის უსაზღვრო უფლებებით აღჭურვა, გრანდიოზული საპრეზიდენტო სასახლე, „საპრეზიდენტო“ თვითმფრინავები, მთავარი სწორედ ამის შემდეგ იწყება — გაუთავებელი უცხოური ვოიაჟები, უზარმაზარი „საპრეზიდენტო ფონდი“, ბიუჯეტის ხარჯზე საეჭვო ყოფაქცევის მასაჟისტების უცხოეთიდან მოწვევა, თუ კონსტიტუციის შეცვლა 22 წლის ფავორიტი გოგონას პარლამენტში მოსახვედრად...

ვიყოთ სამართლიანი - 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ახლადშექმნილი „ქართული ოცნების“ გამარჯვებაც იყო პოლიტიკური რევანში მეტისმეტად გაზულუქებულ-თავდაჯერებულ სააკაშვილსა და მის „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“. იქნებ ვცდები კიდეც, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ არა სააკაშვილის ფანტასტიკური უსაქციელობანი, კულისების მოყვარული მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი არეული ქვეყნის პოლიტიკურ სცენაზე არ გამოჩნდებოდა. ისიც უნდა ითქვას, რომ პოლიტიკურ სარბიელზე „ქართული ოცნების“ შემდეგ რევანშისტული შურისმაძიებლური ქმედებები დამარცხებულ პოლიტიკურ ძალასა და მის მხარდამჭერებზე აღარ გაგრძელებულა. იქნებ ბევრს არ მოსწონდეს, მაგრამ ეს არის (უნდა იყოს!) ცივილიზებული პოლიტიკური ურთიერთობების დასაწყისი დემოკრატიული საზოგადოების მშენებელ საქართველოში.

სამაგიეროდ, არც 2012 და არც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებების შემდეგ სააკაშვილისა და მისი აშკარად შეთხელებულ-დაქუცმაცებული „ჩემი გუნდის“ რევანშისტული მოღვაწეობა არ დამთავრებულა. ისინი ამას არც მალავენ. გვპირდებიან, რომ უახლოეს მომავალში უთუოდ მივლენ ხელისუფლების სათავეში და მაშინვე ყველას დამსახურებისამებრ მიუზღავენ.

ნაცმოძრაობისა და სხვადასხვა სახელით შეფუთული მისი სატელიტი პარტიების ახალ გამარჯვებებზე საუბარი სხვა არაფერია, გონებაჩლუნგებისთვის გადაყრილი საკენკის გარდა. ამ პარტიამ თავისი როლი შეასრულა, თავისი დრო მოჭამა და ისტორიაშიც თავისი ადგილი დაიმკვიდრა. თუმცა, ის კი სრული სიმართლეა, რომ მას პოლიტიკიდან სრული დისტანცირება, უბრალოდ, არ შეუძლია — ჩადენილი უმძიმესი დანაშაულების გამო ყველა მისი ლიდერი, დანაშაულების დამკვეთები და შემსრულებლები ოდესმე აუცილებლად იქცევიან სისხლიანი ანგარიშსწორების მსხვერპლად. მათთვის ერთადერთი გამოსავალი პოლიტიკისთვის თავის შეფარებაა, დროებით მაინც.

პოლიტიკური რევანში ნებისმიერ, თუნდაც სისხლიანი სამოქალაქო დაპირისპირების ფასად — ეს გახლავთ ყველა ჯურის ნაცის ერთადერთი გზა პოლიტიკაში თუნდაც პატარა ნიშის შენარჩუნებისა და, რაც მთავარია, ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად.

ნაცმოძრაობა, როგორც ისტორიაში არსებული უკლებლივ ყველა რევანშისტული იდეებით ნასაზრდოები ჯგუფი, ძალიან, ძალიან საშიშია ქვეყნის მშვიდობისა და სტაბილურობისთვის.

ვერაფერს ვიზამთ, ასეთია იმ დაწყევლილი რევანშიზმის ბუნება.

თეიმურაზ ქორიძე

მეთესლეობა უყურადღებოდაა დარჩენილი - საჭიროა სახელმწიფოებრივი მიდგომა

საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მეთესლეობას დიდი და კარგი ტრადიციები გააჩნია. გამოჩენილ ქართველ მეცნიერ-აგრონომთა მიერ გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული ფართომასშტაბური სამუშაოები შესრულდა მეთესლეობის, როგორც ცალკე აგროტექნოლოგიური რგოლის ჩამოყალიბების, ფუნქციონირებისა და განვითარების ხაზით. დაისახა მისი გაძღოლის მეცნიერული სისტემა, ზონალური თავისებურებების გათვალისწინებით, რასაც ეყრდნობოდა მემარცვლეობის დარგის უსაფრთხო და მდგრადი განვითარება.

ამ საქმიანობას უდავოდ შეუწყო ხელი ჯიშთაგამოცდის ფართო ქსელის შექმნამ და დაბეჯითებით შეიძლება თქმა, რომ ჯიშთაგამოცდის ხაზით დაგროვილმა დიდმა გამოცდილებამ და ზონალური რეკომენდაციების პრაქტიკულმა რეალიზაციამ სრულყო მეთესლეობის სისტემა და, შესაბამისად, პურეულის და სიმინდის მოვლა-მოყვანის მთელი ტექნოლოგიური პროცესი. მეთესლეობა ცალკე მეცნიერებად ჩამოყალიბდა, რომელიც მჭიდრო კავშირშია სელექციასა და გენეტიკასთან. ამ დარგის გამოჩენილმა მეცნიერებმა ლ. დეკაპრელევიჩმა, მ. სიხარულიძემ, პ. ნასყიდაშვილმა და სხვებმა თავიანთი გამოკვლევებით თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს მეთესლეობის განვითარებაში და დაადგინეს, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა და, კერძოდ, მარცვლეულ კულტურათა მოვლა-მოყვანის საერთო სისტემაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მაღალხარისხოვან თესლსა და კარგად ორგანიზებულ და სწორად ჩატარებულ თესვას.

მეთესლეობა არა მარტო აგრონომიული, არამედ ეკონომიკურ-ორგანიზაციულ ღონისძიებათა ერთობლიობაა, რომლის საფუძვლიანობაც განსაზღვრავს აგროტექნიკური ღონისძიებების გამართლებულობასა და ეფექტიანობას, კულტურათა გაადგილების დასაბუთებულობას, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ამ კარგად აგებულ საქმიანობას მომდევნო პერიოდში, განსაკუთრებით გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, თანდათან შეერყა საფუძველი. კერძო, ფერმერული მეურნეობების უსისტემოდ ჩამოყალიბებამ ის გამოიწვია, რომ ისინი ვერ ჩასწვდნენ მეთესლეობის აუცილებლობას, მის როლსა და მნიშვნელობას, არც პირობები გააჩნდათ მისი განვითარებისათვის და ამ მეურნეობათა თითქმის აბსოლუტურმა უმრავლესობამ თავთავიანთა და სიმინდის (აგრეთვე სხვა კულტურათა) მოვლა-მოყვანა მეთესლეობაზე დაუყრდნობლად ააგო. ასეთმა მიდგომამ უკან დახია მემარცვლეობის დარგი და, შეიძლება თქმა, „დაანაგვიანა“ მოსავლის მიღების მთელი პროცესი, რისი ძირითადი მიზეზი გახდა ის, რომ აღარ იწარმოებოდა I და II რეპროდუქციის, ელიტური და სუპერელიტური სათესლე მასალა, რის გამოც გაძლიერდა სარეველა მცენარეთა და მავნებელ-დაავადებათა უარყოფითი მოქმედება მცენარეზე, საფრთხე შეექმნა ჯიშთა სიწმინდეს, იკლო მოსავლიანობამ. არანაირი ყურადღება არ ექცეოდა და არც ახლა ექცევა ჯიშებისა და ჰიბრიდების წინასწარ შესწავლას, უგულებელყოფილია ადგილობრივი ჯიშის თესლის წა-რმოება, თითქმის აღარ არსებობს მეთესლეობის სისტემა და, შესაბამისად, არც ზემოთ აღნიშნულ კულტურათა მაღალპროდუქტიული თესლის წარმოება. გაუქმებულია თესლის ინსპექციის, ჯიშური სიწმინდისა და ხარისხის კონტროლი. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ამჟამად სათესად გამოყენებული თესლის 70% ადგილობრივად მოწეული რიგითი მოსავლიდან შეირჩევა.

ამას დაემატა ის, რომ სახელმწიფოს ხელშეწყობით ფერმერულმა მეურნეობებმა ხელი მიჰყვეს ერთი შეხედვით მისაღები, მაგრამ აგრონომიულ-სტრატეგიული თვალსაზრისით, მიუღებელი უცხოური ჰიბრიდების გამოყენებას, ამან, ცალკე, უარყოფითი გავლენა იქონია ჯიშთა სიწმინდეზე და მათ დარაიონებზე. ამას რომ თავი დავანებოთ, უკანასკნელ წლებში, კლიმატის ცვლილების გამო ისედაც აქვს ადგილი მოსავლის ე.წ. „ჩავარდნებს“, როდესაც ხან ერთ და ხან მეორე რაიონში ვერ ღებულობენ მოსავალს.

აშკარავდება, რომ უკანასკნელი 20 წელია, აღარ იწარმოება ჯიშობრივად მაღალხარისხოვანი თესლი, აღარ არსებობს მეთესლეობის სპეციალიზებული საწარმოები, აღარ იცდება ჯიშები, აღარ გვაქვს თესლეულის გარდამავალი ფონდი. მეთესლეობის სისტემა დაუცველია კანონმდებლობითაც. არ გვაქვს კანონი მეთესლეობის შესახებ, რომლის აუცილებლობაც დიდი ხანია დადგა დღის წესრიგში.

ჯიშთა გამოცდის, მრავალი ათეული წლის მანძილზე კარგად აწყობილი სისტემის მოშლამ გამოიწვია, რომ ქვეყანაში თვითნებურად შემოაქვთ წინასწარ შეუსწავლელი ჯიშები და ჰიბრიდები, რომლებსაც თან მოჰყვება ისეთი მავნებელ-დაავადებები, რომლებთანაც ბრძოლა ჭირს. ამან საგანგაშო მდგომარეობა შექმნა და თუ ასე გაგრძელდა, რამდენიმე წელიწადში აღარ გვექნება სიმინდის ადგილობრივი ჯიშები, რასაც უცხოური ჰიბრიდებით ჩანაცვლება ემუქრება.

როგორც ჩანს, და ეს პრაქტიკამაც დაამტკიცა, ფერმერულ მეურნეობებს ნაკლებად შესწევთ ძალა, თვითონ აწარმოონ ელიტური და სუპერელიტური თესლი და თესვაც ასეთი თესლით აწარმოონ.

ეს თვალნათლივ ადასტურებს იმას, რომ ამჟამად საქართველოში მეთესლეობა უყურადღებოდაა დატოვებული და იგი სახელმწიფოს თვალსაწიერის მიღმაა დარჩენილი.

აშკარაა, რომ მეთესლეობის განვითარებას სახელმწიფოებრივი მიდგომა სჭირდება. მეთესლეობა უნდა მოექცეს ერთიანი, სახელმწიფოებრივი სისტემის ჩარჩოებში, რაც ითხოვს იმას, რომ საჭიროა შეიქმნას მეთესლეობის საგანგებო სახელმწიფოებრივი სამსახური, რომელიც გააკონტროლებს I და II რეპროდუქციის, ელიტური და სუპერელიტური სათესლე მასალის მიზნობრივ წარმოებას, ზონალური თავისებურებების გათვალისწინებით. სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს მეთესლეობის სავალდებულო კონტროლის სისტემაზე ეტაპობრივი გადასვლის პერიოდი, შესაბამისი სავალდებულო ნორმები და სამართლებრივი მოთხოვნა-ვალდებულებები.

სახელმწიფოებრივი დონის ასეთი მოთხოვნების შესაბამისად და გათვალისწინებით მეთესლეობა უნდა განვითარდეს ზონების მიხედვით შერჩეულ ფერმერულ მეურნეობებში. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ ჯიშიან, დარაიონებულ და მაღალხარისხოვან სათესლე მასალაზე მოთხოვნა დღითი დღე გაიზრდება და ამ შედეგი იყო ჰეტეროზისის ძალის გამოვლენა და ამ გზით სამხრეთ ამერიკაში ე.წ. მწვანე რევოლუციის დაწყება. ეს დიდი ხნის წინათ იყო. ამის შემდეგ ამ სფეროში უდიდესი მიღწევები მოხდა. მიუხედავად ამისა, ჰიბრიდიზაციის პროცესი მთლად სტაბილურ სისტემას ვერ ქმნის და დროდადრო მეცნიერებს საჭირო კორექტივებს ამ სფეროში კომერციალიზაციის ხაზით შეეძლებათ ნაბიჯის წინ გადადგმა. ასე დაიზოგება ქვეყნის სავალუტო თანხა, რაც ხმარდება უცხო ქვეყნებიდან ჰიბრიდების შემოტანას.

ამის ნათელსაყოფად უნდა ითქვას, რომ საქართველოში ამ მიმართულებით უკვე არსებობს კარგი გამოცდილება. მეთესლეობის მეცნიერულ საფუძველზე განვითარების საქმეში დიდ და სასარგებლო საქმიანობას ეწევა „ლომთაგორის“ კომერციალიზაციის პრინციპზე აგებული აგროკომპანია, სადაც შერწყმულია საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილება. აქ გამოყვანილია ხორბლისა და სიმინდის ახალი ჯიშები, რომლებიც ხასიათდება მაღალი აგროტექნიკური თვისებებით.

ეს მეურნეობა კარგი მაგალითია იმისა თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს მეთესლეობის, ჯიშთაგამოცდისა და ჯიშთა სიწმინდის დაცვის საქმე. ასეთი ტიპისა და ფორმის მეურნეობები საჭიროა შეიქმნას საქართველოს ცალკეულ რეგიონებში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

ახლა, ერთ მტკივნეულ საკითხს უნდა შევეხოთ. ჯიშთა გამოცდის, მრავალი ათეული წლის მანძილზე კარგად აწყობილი სისტემის მოშლამ გამოიწვია, რომ ქვეყანაში თვითნებურად შემოაქვთ წინასწარ შეუსწავლელი ჯიშები და ჰიბრიდები, რომლებსაც თან მოჰყვება ისეთი მავნებელ-დაავადებები, რომლებთანაც ბრძოლა ჭირს. ამან საგანგაშო მდგომარეობა შექმნა და თუ ასე გაგრძელდა, რამდენიმე წელიწადში აღარ გვექნება სიმინდის ადგილობრივი ჯიშები, რასაც უცხოური ჰიბრიდებით ჩანაცვლება ემუქრება.

ამჟამად მსოფლიოში სოფლის მეურნეობის გენეტიკისა და სელექციის მიღწევები იმდენად დიდი და შთამბეჭდავია, რომ ზოგჯერ თვით მეცნიერთა განცვიფრებასაც კი იწვევს. სწორედ ამის ბის შეტანა უწევთ ტექნოლოგიურ კომპლექსში, თანაც ჰიბრიდული უნარი ყოველთვის და ყოველ პირობებში თანაბარი ძალით ვერც ვლინდება. იგი შეიძლება კარგად მოერგოს ამა თუ იმ მიკროკლიმატურ პირობებს და საერთოდ ვერ მოერგოს და არც ივარგოს სხვა გეოგრაფიულ სარტყელში.

ამიტომაც ყველა სახელმწიფოში სოფლის მეურნეობის ძირითადი საყრდენი ძალა ადგილობრივი, აბორიგენული, ასეულ საუკუნეებში გამოვლილ-გამობრძმედილი, ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს არა მარტო შეგუებული, არამედ მასთან „შესისხლხორცებული“ ჯიშებია. ასეული საუკუნეების მანძილზე შექმნილი გენეტიკური ძალის ერთი ხელის დაკვრით მოსპობა თეორიულადაც კი წარმოუდგენელია, მის შექმნასა და სრულყოფას ასევე ხანგრძლივი, ევოლუციური პროცესის გავლა სჭირდება.

საქართველო, მსოფლიოში ცნობილი და განთქმულია ხორბლის, ვაზის, ხეხილის უნიკალური, აბორიგენული ჯიშებით, რომელთა მსგავსიც სხვაგან არ მოიპოვება და ამიტომ ხდება მათი კულტივირება სხვა ქვეყნებში. მათ ვერცერთი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გამოყვანილი სხვა ჯიშები ვერ შეცვლის და ასე კარგად ვერც მოერგება ჩვენს მთიან და უნიკალურ, მიკროზონალურ სივრცეშიც კი მკვეთრად განსხვავებულ და სწრაფად ცვალებად ბუნებრივ პირობებსა და, რაც არანაკლებ საყურადღებოა, მოსახლეობის ეთნოლოგიურ სპეციფიკებს, ადათ-წესებს, სოციალურ კულტურას.

ადგილობრივი ჯიშების პოტენციური უნარი მაღალ და ინტენსიურ ტექნოლოგიებზე დაყრდნობით უნდა გავაძლიეროთ და მაქსიმალური უკუგებით გამოვიყენოთ. ეს უდავოდ მოითხოვს მეთესლეობის შემდგომ სრულყოფასა და მეცნიერულ საფუძვლებზე განვითარებას. ამ მხრივ მისასალმებელია ზოგიერთი ქართველი ფერმერის მცდელობა, რათა აწარმოოს და გაამრავლოს ძველი ქართული აბორიგენული ჯიშები, რასაც ყოველმხრივი ხელშეწყობა სჭირდება.

გურამ ალექსიძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი; გივი ჯაფარიძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი; ომარ ქეშელაშვილი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი; ადოლ ტყეშელაშვილი, სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი.

დიმიტრი ქუმსიშვილი:
ხელი შევუწყოთ მთის მოსახლეობას ადგილზე განვითარებისათვის

მთის განვითარების საბჭომ, რომლის სხდომას პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ხელმძღვანელობდა, 2017 წელს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან თანხის განაწილების საკითხზე იმსჯელა. გადაწყდა, რომ ბიუჯეტიდან ამ მიზნით გათვალისწინებული 20 მილიონი ლარიდან, 10 მილიონი ლარი მაღალმთიან დასახლებებში მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდასაჭერად გამოიყოფა, დანარჩენი თანხით კი ინფრასტრუქტურული პროექტები დაფინანსდება.

სხდომის დასაწყისში პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა დადებითად შეაფასა მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 2016 წელს განხორციელებული პროექტები. მისი განცხადებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის მიმართულებით 1102 პროექტი და 1713 ბენეფიციარი დააფინანსა.

„ესაა კონკრეტული სამუშაო ადგილები; ესაა კონკრეტულად დაწყებული მცირე ბიზნესი და რაც მთავარია, ეს არის ის მიზანი, რაც მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდს გააჩნია. ჩვენი ამოცანაა, დავამაგროთ ჩვენი მოსახლეობა მთაში და ხელი შევუწყოთ მას ადგილზე განვითარებისათვის,“ — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

პირველმა ვიცე-პრემიერმა ასევე ისაუბრა რეგიონების განვითარების ფონდიდან 2016 წელს დაფინანსებულ პროექტებზე. კერძოდ, გასულ წელს 20 მუნიციპალიტეტში 33 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

ქართველი რადამესი ზაზა ზაალიშვილი

ჩვენი სულიერების მასაზრდოებელი ჭეშმარიტი ხელოვნებაა, ურომლისოდაც ამქვეყნიური არსებობა უინტერესო და უშინაარსო იქნებოდა. სწორედ ასეთი ამაღელვებელი ხელოვნებით ტკბობის საშუალება მომეცა ამას წინათ თბილისის საოპერო თეატრში ვერდის უკვდავი ოპერა „აიდას“ განახლებული დადგმის ხილვისას. თეატრის ახალი ხელმძღვანელობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის აქტიური გამოცოცხლება, რაც ამ სპექტაკლით იგრძნობა, დიდ იმედს გვისახავს სამომავლოდ. სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ ოპერებში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მომღერლები.სპექტაკლმა დიდი სიამოვნება მომანიჭა და აღფრთოვანებულს, შინაგანი კმაყოფილების განცდა დამეუფლა. უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს თეატრისა და კინოს კლასიკოს რეჟისორად აღიარებული ფრანკო ძეფირელის დადგმა, თავისი პომპეზურობითა და ბრწყინვალეებით. როგორც ცნობილია, რეჟისორმა ეს დადგმა პირველად კომპოზიტორის მშობლიურ ქალაქ ბუსეტოში განახორციელა. ვერდის ოპერებს შორის „აიდა“ გამოირჩევა თავისი მასშტაბურობით, დრამატული გამომსახველობითა და საზეიმო განწყობილებით. მასში არსებული მძაფრი მუსიკალური მონაკვეთები და მდიდარი ვოკალური ნიუანსები მსმენელში სიდიადის განცდას იწვევს, შინაგან ემოციებს აღძრავს და გულგრილს არავის ტოვებს. საერთო სურათი მართლაც საინტერესო და შთამბეჭდავი გახლდათ, რასაც აძლიერებდა სპექტაკლში მონაწილეთა გულწრფელი და დიდი მონდომებით შესრულებული პარტიები. ოპერას დირიჟორობდა იტალიელი მარკო ბოემი, აიდას პარტიას ასრულებდა მაძვალა ასპანიძე, ამნერისისას – ელენე პუტილოვა, ამონასროს – სულხან გველესიანი, რამფისს – ლეგი იმედაშვილი, ფარაონისას – ტარიელ ჭიჭინაძე. რადამესის მთავარი პარტიის დასამახსოვრებელი სახე შექმნა ჩვენმა თანამემამულემ, შესანიშნავი მონაცემების მქონე დრამატულმა ტენორმა ზაზა ზაალიშვილმა, იგივე ფრანკო ტენელიმ. სპექტაკლის შემდეგ საშუალება მქონდა მას გავსაუბრებოდი:

– ბატონო ზაზა, გილოცავთ უდიდეს წარმატებას!

– დიდი მადლობა.

– რატომ ფრანკო ტენელი და არა ზაზა ზაალიშვილი?

– ორი მიზეზია. ტენელი არის მამაჩემის და დედაჩემის სახელების შერწყმა. რაც შეეხება ფრანკოს, იგი იტალიური სახელია, რომელსაც მე დიდ პატივს ვცემ ცნობილი იტალიელი ტენორის ფრანკო კორელის გამო.

– რას ნიშნავს თქვენთვის მშობლიურ ქალაქში გამოსვლა?

– პირველ რიგში ეს არაჩვეულებრივი სიხარულის მომგვრელია, დიდი პატივი და ამავე დროს დიდი პასუხისმგებლობაც.

– კმაყოფილი ხართ გამოსვლით?

– მომღერალი არასოდეს არ უნდა იყოს კმაყოფილი. მეც სრულიად ვიზიარებ ამ შეხედულებას. მშობლიურ სცენაზე ნამდვილად კომფორტულად ვგრძნობ თავს. საერთოდ სიმღერის დროს უდიდეს სიამონებას ვიღებ. პარტია მთელი მონდომებითა და გულით ვიმღერე. თავი არ დამიზოგავს. როგორი გამომივიდა, ამას მე ვერ შევაფასებ, ეს მსმენელის შესაფასებელია.

– რას იტყვით ოპერის დადგმის შესახებ? ძეფირელის საერთოდ უყვარს სპექტაკლს საზეიმო სახე შესძინოს, რაც აიდას აშკარად ეტყობა. მის მიერ შექმნილი კინოფილმებიც სწორედ ასეთი მიდრეკილებისაა.

– აუცილებლად, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ დადგმით იწყება ჩვენი საოპერო თეატრის ახალი ერა, მისი აღორძინება, რაც პირდაპირ დაკავშირებულია ბადრი მაისურაძის მოსვლასთან. მან აშკარად გამოამჟღავნა ორგანიზატორული ნიჭი, თეატრი გამოაცოცხლა, ახალ-ახალი დადგმებით გაამდიდრა რეპერტუარი, რაც შეეხება ძეფირელის დადგმას, მართლაც სადღესასწაულო წარმოდგენა ვიხილეთ. პირველ ოთხ სპექტაკლზე ყველა ბილეთი გაიყიდა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ბილეთი 200 ლარამდე ღირდა.

– რას იტყვით დირიჟორზე?

– იტალიელი დირიჟორი მარკო ბოემი წარმოშობით რომიდანაა. გარდა იმისა, რომ იგი შესანიშნავი მუსიკოსია, არაჩვეულებრივი პიანისტი და ხმის დინამიკური დიაპაზონის ხელოვანიცაა. მასთან მუშაობა ნამდვილი ბედნიერებაა. მისი ნებისმიერი შენიშვნა და მითითება უდავოდ ფასეული და ღირებულია. განსაკუთრებულად დასაფასებელია მისი თბილი და მეგობრული, ამავე დროს პრინციპული დამოკიდებულება მომღერლების მიმართ.

– თუ შეიძლება რამდენიმე სიტყვით შეაფასეთ თქვენი პარტნიორები, ორკესტრი და გუნდი.

– ორკესტრი მთლიანად დამოკიდებულია დირიჟორის ოსტატობასა და ხელოვნებაზე. მარკო ბოემის ხელმძღვანელობით ორკესტრი უდავოდ მაღალ დონეზე იდგა. მთავარი პარტიების შემსრულებლებმა მართლაც ღირსეულად წარმოაჩინეს თავი. როგორც პარტნიორს, დიდ კმაყოფილებას მანიჭებდა მათთან ერთად გამოსვლა. რაც შეეხება გუნდს, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში.

– წლებია კანადაში მოღვაწეობთ, მოგვიყევით თქვენი იქაური საქმიანობის შესახებ, როგორ მოხვდით ამ ქვეყანაში?

– 1992 წელს მონაწილეობა მივიღე ვოკალისტთა მონრეალის საერთაშორისო კონკურსზე, სადაც გავიმარჯვე, სამ თვეში იქვე კვებეკის თეატრ გრანდ ოპერაში მომცეს ნადირის მთავარი პარტია ბიზეს „მარგალიტის მაძიებლებში“. უკვე ცოტა ხანში ქ. ოტავაში ვიმღერე ჰერცოგის პარტია ვერდის „რიგოლეტოში“ საქვეყნოდ აღიარებულ ბარიტონ ლუი კვილიკოსთან ერთად. ამის შემდეგ სათანადო კონტრაქტების საფუძველზე, ვმღეროდი როგორც კანადის, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების თეატრებში. მარტო ამერიკის 28 შტატში არაერთი საოპერო პარტია მაქვს ნამღერი, ისეთები, როგორიცაა: კალაფი „„ტურანდოტიდან“, რიკარდო „ბალ მასკარადიდან“, მანრიკო „ტრუბადურიდან“ კანიო „ჯამბაზებიდან“, რადამესი „აიდადან“, კავარადოსი „ტოსკადან“, ხოზე „კარმენიდან“ და სხვები. საერთოდ უფრო დრამატულ პარტიებს ვანიჭებ უპირატესობას, ვინაიდან ჩემი ხმისა და ტემპერამენტისათვის უფრო ახლობელი და მისაღებია.

– ენრიკო კარუზო თავის ცნობილ წიგნში „როგორ ვიმღეროთ“ აღნიშნავს, რომ ზოგიერთი მომღერალი სპექტაკლის დაწყებამდე მღელვარების გამო, თავის დასამშვიდებლად და რწმენის განსამტკიცებლად, გამომუშავებულ რაღაც მისთვის ნაცნობ რიტუალს მიმართავს. თქვენც ხომ არა გაქვთ ამის მსგავსი რამ?

– ახალგაზრდობაში, სტუდენტობის დროს, ყოველი გამოსვლის წინ ძალიან ვღელავდი. შიშისგან თითქმის ვკანკალებდი. მაგრამ დრომ და გამოცდილებამ თავისი გააკეთა. სპექტაკლის წინ, ერთი დღით ადრე უკვე ვემზადები განწყობის შესაქმნელად. სცენაზე გამოსვლით დიდ სიამოვნებას ვიღებ და მაყურებელს, როგორც მოწინააღმდეგეს ისე კი არ ვუყურებ, არამედ როგორც კეთილის მსურველს და მათ მიმართ დიდ სიყვარულს განვიცდი, რაც ნამდვილად დადებითი მუხტის მატარებელია სიმღერის დროს.

– ალბათ, თქვენი მოკრძალებული და თავმდაბალი ხასიათის გამო, სამწუხაროდ, მწირი ინფორმაცია გვაქვს თქვენს შესახებ, არადა, როგორც ვიცით უამრავ ქვეყანაში ხართ გასტროლებზე ნამყოფი.

– კანადის და ამერიკის გარდა, ნამყოფი ვარ იაპონიაში, თურქეთში, ნორვეგიაში, გერმანიაში, ესპანეთში, საფრანგეთში. მინდა გითხრათ, რომ ყველაზე თბილი და ყურადღებიანი აუდიტორია ამერიკის თეატრებშია, გამოირჩევა თავისი გულისხმიერებით და ემოციურობით, ძალიან წააგავს ქართულ ხასიათს.

– თქვენ ჩვენთვის ნაცნობი ლირიკული ტენორის თენგიზ ზაალიშვილის ვაჟი ხართ, ვიცით აგრეთვე, რომ დედათქვენიც კარგად მღეროდა. სიმღერისადმი ინტერესი, ალბათ, მათგან გამოგყვათ?

– რასაკვირველია, ორივესგან, რადგან უშუალოდ მათთანაა დაკავშირებული კლასიკური სიმღერისადმი ჩემი მომავალი არჩევანი. ბავშვობაში ვმღეროდი, მაგრამ სულ სხვა სტილში. იმ დროს მიდრეკილება და გატაცება მქონდა ჯაზ-გიტარის მიმართულებით. საბჭოთა კავშირის დროს, მოსკოვში ერთ-ერთ ჯაზ-ფესტივალზე აღიარება მოვიპოვე, როგორც ორიგინალურმა და ვირტუოზმა გიტარისტმა. ეს უკვე ეკუთვნის ჩემი სტუდენტობის პერიოდს, როდესაც კავშირგაბმულობის ფაკულტეტზე ვსწავლობდი თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ასე რომ, მე დიპლომიანი ინჟინერი გახლავართ, კავშირგაბმულობის დარგში. იყო ასეთი შემთხვევა, „გეპეიში“ შიდა საფაკულტეტო ოლიმპიადა ტარდებოდა. გამომსვლელთა შეფასებები სპეციალური ქულებით ხდებოდა. ვინაიდან გიტარაზე დაკვრა დაბალი ქულებით ფასდებოდა, მთხოვეს, გიტარა ვიოლინოთი შემეცვალა. ოლიმპიადამდე სამი თვე იყო დარჩენილი. ვიოლინოს სწავლა უბრალოდ წარმოუდგენელი იყო, ერთადერთი, რაც მას ქულებით უთანაბრდებოდა, კლასიკური სიმღერა იყო, მივმართე მამაჩემს და მისი დახმარებით დავამუშავე ჰერცოგის არია (რასაკვირველია, ტონალობით დაბლა). მაღალი ქულები დამიწერეს და ოლიმპიადაზე გავიმარჯვე. აი, აქედან დაიწყო კლასიკური სიმღერისადმი ჩემი ურთიერთობა, უფრო სწორად ჩემი დაავადება.

– შემოქმედების საკმაოდ გრძელ გზაზე ვინ იყვნენ თქვენი გზამკვლევი ადამიანები, ვინ დაატყო თავისი ხელი თქვენს პროფესიულ წინსვლას?

– უპირველესად, მამაჩემმა თენგიზ ზაალიშვილმა; მაესტრო ნოდარ ანდღულაძემ, რომელმაც დამარწმუნა, რომ მე ტენორი ვიყავი და არა ბარიტონი, მინდა, მადლიერება გამოვხატო ჩემი ვოკალის პედაგოგის უილიამ ნილის მიმართ. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო ჯანსუღ კახიძის როლი, რომელმაც თეატრში სოლისტად ამიყვანა იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ კონსერვატორიის მე-4 კურსის სტუდენტი ვიყავი და ჰერცოგის მთავარი პარტია მამღერა „რიგოლეტოში“. ისე, ჩემთვის არავის არაფერი უჩუქებია, ყველგან კონკურსებითა და სპეციალური მოსმენებით გავდიოდი.

– თუ შეიძლება, გვითხარით თქვენი პირადი ცხოვრების შესახებ. ვინ არის თქვენი მეუღლე? გყავთ თუ არა შვილები?

– ჩემი მეუღლე გახლავთ საკმაოდ საინტერესო პოეტი აფხაზეთიდან ლანა ავიძბა, რომლის ლექსებზე დაახლოებით 140 სიმღერა მაქვს დაწერილი, მყავს 27 წლის ქალიშვილი, რომელსაც დედაჩემის სახელი – ნელი ჰქვია. ამჟამად იგი კანადაში მოღვაწეობს.

– როგორია თქვენი სამომავლო გეგმები, ხომ არ აპირებთ საქართველოში დაბრუნებას?

– საერთოდ აქეთ გადმოსვლა მინდა. საქართველოს მოქალაქეობა უკვე მივიღე. ამჟამად თეატრში მოლაპარაკებები მიდის ხოზეს, კანიოსა და სხვა პარტიებთან დაკავშირებით. ვნახოთ, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს.

მინდა, დავამატო, რომ ზაზა ზაალიშვილი კანადაში წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას და თბილისის კონსერვატორიაშიც პერიოდულად ატარებს მასტერკლასებს ქართველი სტუდენტებისთვის. ვუსურვოთ მას კიდევ ბევრი წარმატება შემოქმედებასა და პედაგოგიურ საქმიანობაში.

გელა ძოძიაშვილი,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ეკონომიკის დოქტორი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი

45,5 ათასი ლარი პროექტ „ეტალონისთვის“

ინტელექტუალური მედიაპროექტ „ეტალონის“ პირველი ეტაპისა და ფინალური ეტაპის ორგანიზებაში ბათუმის მერია ქალაქის ბიუჯეტიდან 45 ათას 500 ლარს გადაიხდის. ამ ხარჯის საჭიროებას მერია ასე ხსნის: „აღნიშნული მომსახურების შესყიდვით შესაძლებელი გახდება 2016-2017 წლების ბათუმის ეტალონი მოსწავლისა და საქართველოს ეტალონი მოსწავლის გამოვლენა“.

მომსახურება უნდა განხორციელდეს ორ ეტაპად:

I ეტაპი – 2016-2017 წლების ბათუმის ეტალონი მოსწავლის შერჩევა – 2017 წლის მაისის თვეში (ერთ-ერთ შერჩეულ დღეს); II ეტაპი – 2016-2017 წლების საქართველოს ეტალონი მოსწავლის გამოვლენა – 2017 წლის ივნისის თვეში (ერთ-ერთ შერჩეულ დღეს).

მომსახურებას მერიას შპს „ეტალონი-მედია“ გაუწევს, რომელსაც ექსკლუზიური უფლებამოსილება გადაეცა გოჩა ტყეშელაშვილისგან, 2009 წლის 1 ოქტომბერს გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ხოლო გოჩა ტყეშელაშვილის ექსკლუზიური უფლებამოსილება დადასტურებულია ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ გაცემული სერტიფიკატით.

ცხინვალში ვითარება საშიშ დონემდე მწვავდება

რუსულ გამოცემა „Независимая газета“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში გადმოცემულია „ნაწილობრივ აღიარებულ“ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში“ შექმნილი ვითარება ე.წ. პრეზიდენტის არჩევნებთან დაკავშირებით: **ამჟამინდელი პრეზიდენტი ლეონიდ თიბილოვი გასულ კვირას მოსკოვში იმყოფებოდა და ვლადიმირ პუტინს შეხვდა, განიხილეს ორმხრივი ურთიერთობის საკითხები, სამხრეთ ოსეთში 9 აპრილს დანიშნულ პრეზიდენტის არჩევნებთან და რეფერენდუმის გამართვასთან დაკავშირებული მომენტები“,** — ნათქვამია სტატიაში.

პუბლიკაციაში ყურადღება გამახვილებულია ცხინვალში შექმნილ რთულ სიტუაციაზე, რომელიც სწორედ პრეზიდენტის არჩევნებს უკავშირდება. დღეისათვის ადგილობრივმა ცესკომ პრეზიდენტობის სამი კანდიდატი დაარეგისტრირა — მოქმედი პრეზიდენტი **ლეონიდ თიბილოვი,** პარლამენტის თავმჯდომარე **ანატოლი ბიბილოვი** და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის („კაგებე“-ს) თანამშრომელი **ალან გაგლოევი.** რეგისტრირებაზე უარი ეთქვა რამდენიმე პირს, მათ შორის, ექსპრეზიდენტ ედუარდ კოკოითს, რომელიც, შეიძლება ითქვას, თავის მიერვე „დაგებულ ხაფანგში მოხვდა“: რამდენიმე წლის წინათ, პრეზიდენტობის პერიოდში, სწორედ ედუარდ კოკოითმა მიიღო კანონი (კონკურენტების ჩამოსაშორებლად), რომლის თანახმად, პრეზიდენტობის კანდიდატი რესპუბლიკის ტერიტორიაზე უწყვეტად 10 წლის განმავლობაში უნდა ცხოვრობდესო. ჰოდა, ახლა ამ კანონის ძალა მასზეც გავრცელდა: **კომისიამ დაადგინა, რომ ედუარდ კოკოითი ბოლო 10 წლის მანძილზე სამხრეთ ოსეთში არ ცხოვრობდა და ამიტომაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ აქვსო.**

რასაკვირველია, **ამ გადაწყვეტილებას კოკოითი და მისი მომხრეები არ დაეთანხმნენ და ცხინვალში პერმანენტული მიტინგი გამართეს. კოკოითს არც დამატებითმა დოკუმენტებმა არ უშველა, მას კვლავ გაუმეორეს — ხომ გითხარით, რომ აქ არ ცხოვრობდი და გაჩერდი, გეყოფა საჩივრების წერაო. თავის მხრივ, ედუარდ კოკოითმა ცესკო, „კაგებე“, შსს კანონდარღვევაში დაადანაშაულა... მოკლედ, ცხინვალში სიტუაცია დაიძაბა. მიტინგთან ახლოს „ომონი“ ათენებს და აღამებს...**

ცხადია, „სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებასაც“ არ სძინავს და შესაბამის საპასუხო სვლებს აკეთებს: ჯერ ერთი, რომ ლეონიდ თიბილოვის მომხრეებმა ანტიკოკოითური მიტინგი ჩაატარეს (თუმცა ამბობენ, რომ მისი მონაწილეები სპეციალურად ჩამოიყვანეს რაიონებიდან), მეორე — ექსპრეზიდენტს „ზურგში დანა ჩასცეს“: ედუარდმა სასამართლოში მიწვევის შეტყობინება მიიღო, მოწმის სახით: განიხილება მისი ძმის სისხლის სამართლის საქმე საბიუჯეტო თანხების მითვისება-გაფლანგვის თაობაზე, რაც ათი წლით ციხეში ყოფნით ისჯება.

სტატიის ავტორი ესაუბრება სამხრეთ ოსეთის ყოფილ „ელჩს“ რუსეთის ფედერაციაში **დიმიტრი მედოევს,** რომლის თქმით, სიტუაცია მართლაც დაძაბული და არასტაბილურია, დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს ადანაშაულებენ და მიაჩნიათ, რომ მხოლოდ მათი კანდიდატია პრეზიდენტობის ღირსი: **ლეონიდ თიბილოვის მომხრეები აცხადებენ, რომ მისი პრეზიდენტობის დროს შეწყდა ფინანსური სკანდალები, თანდათან უმჯობესდება სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია... ედუარდ კოკოითის მხარდამჭერები კი საწინააღმდეგო სურათს ხატავენ: კორუფცია ყვავის, თანამდებობებზე პრეზიდენტის ნათესავები სხედან, ეკონომიკა საერთოდ არ არსებობს, ტოტალური უმუშევრობაა...**

დიმიტრი მედოევის თქმით, ჩატარებული გამოკითხვების შედეგად ანატოლი ბიბილოვი ლიდერობს, თუმცა იმის თქმა, რომ იგი გაიმარჯვებს, ძნელია — რუსეთში და აფხაზეთში ბევრი ოსი ცხოვრობს და არავინ იცის, მისცემენ თუ არა ხმას ისინი პარლამენტის სპიკერს.

რაც შეეხება რეფერენდუმს სამხრეთ ოსეთის სახელწოდების თაობაზე („სამხრეთ ოსეთი — ალანეთი“), დიმიტრი მედოევი აღნიშნავს, რომ გარანტირებული არც ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა არ არის. „ამ საკითხზე ლეონიდ თიბილოვმა თვითნებური გადაწყვეტილება მიიღო იმ მიზნით, რომ არჩევნებში ბევრ ხმებს მიიღებს, თუმცა მან თავისი მოქმედებით ხელი შეუწყო საზოგადოების გახლეჩას“, — ამბობს დიმიტრი მედოევი „Независимая газета“-სთან საუბარში.

„სამხრეთ ოსეთში დღეს შექმნილი სიტუაცია 2011 წლის ოქტომბერ-ნოემბერში არსებულ ვითარებას მოგვაგონებს, როცა მდგომარეობა მოსკოვის „უხეში ჩარევით“ მოგვარდა: მართალია, „ნაჯახური მოქმედებით“, მაგრამ რესპუბლიკა კატასტროფას ასცილდა. როგორც სტატიის ავტორს ცხინვალში ერთ-ერთმა ადგილობრივმა ამომრჩეველმა განუცხადა, „ახლაც ლეონიდ თიბილოვი მოსკოვში დახმარების მიღების მიზნით იყო წასული, რადგან ედუარდ კოკოითის გაჩერება აქაური „მშვიდობიანი ფორმატით“ ვერ მოხერხდება. თიბილოვს პუტინის იმედი აქვს, ტყუილად კი არაა მოფენილი ცხინვალის ქუჩები მათი ერთად გადაღებული ფოტოსურათებით“.

სამხრეთ ოსეთში მიმდინარე მოვლენები მხოლოდ მოსკოვის ყურადღებას არ იქცევს, ცხინვალის მდგომარეობას თბილისიც აკვირდება. ჯერჯერობით ოფიციალური კომენტარები არ გამოქვეყნებულა, გამოთქმული შენიშვნები კი იმდენად არჩევნებს არ ეხება, რამდენადაც თარიღს: 9 აპრილს საქართველოში 1989 წლის მიტინგის დარბევის სამგლოვიარო წლისთავი აღინიშნება. **ადგილობრივ საექსპერტო წრეებში არ გამორიცხავენ, რომ ცხინვალში არჩევნები 9 აპრილისათვის სწორედ ქართველების ჯიბრზე დაინიშნა. „ეს ყველაფერი ცხინვალის რეჟიმისა და მათი მფარველების გრიმასებია და იმას მოწმობს, რომ ისინი კავკასიურ ტრადიციებს პატივს არ სცემენ“.** რაც შეეხება მეორე საკითხს — რეფერენდუმს სახელწოდების გადარქმევის თაობაზე, თბილისში ლაკონურად პასუხობენ: **„ალანეთი საქართველოში არასოდეს ყოფილა, არ არის და არც იქნება“.**

თუმცა, როგორც დიმიტრი მედოევი ამბობს, ამ შემთხვევაში თარიღი საქართველოს არ უკავშირდება: **„ამჟამინდელი არჩევნები ბოლო არჩევნებიდან დროის ჩვეულებრივი ათვლით დაინიშნა. ჩვენ უკვე მეოთხედი საუკუნეა, თბილისის განცხადებებს და ნათქვამს ყურადღებას აღარ ვაქცევთ, ჩვენ ქართველების პოზიცია ნაკლებად გვაღელვებს“. როგორც ჩანს, ყოფილი ელჩი მართალია: ცხინვალელებს საზოგადოებაში კონფრონტაციის გამწვავება უფრო აღელვებთ, ვიდრე თბილისის მიერ გამოხატული პოზიცია.**

იური როქსი,
მოგვაწოდა „ნიუსპრესმა“

უკრაინაში რუსი აგენტები დააკავეს



უკრაინის უშიშროების სამსახურმა ქვეყნის ტერიტორიაზე 9 რუსი სპეცაგენტი დააკავეს. უწყების ხელმძღვანელის განმარტებით, „რეზიდენტური ქსელის გაუვნებელყოფის“ ოპერაციაში უშიშროების სამსახურის თანამშრომლებთან ერთად „ალფას“ სპეცდანაყოფის მებრძოლებიც მონაწილეობდნენ. აგენტები 19 მარტს უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონში აიყვანეს.

სამხრეთ კორეის ლიდერი დაჰკითხეს

22-საათიანი დაკითხვის შემდეგ სამხრეთ კორეის ყოფილმა პრეზიდენტმა პროკურატურა დატოვა. პან კინ ხე კორუფციულ გარიგებებშია ეჭვმიტანილი, რასაც ის ამ დრომდე კატეგორიულად უარყოფს. სამხრეთ კორეის ექსპრეზიდენტს პარლამენტმა იმპიჩმენტი მოუწყო. საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლომ კანონიერად ცნო.

შვარცენეგერი: ტრამპი ჭაობში იძირება



შვარცენეგერი ტრამპს ისევ აკრიტიკებს. ახალი ვიდეომიმართვა კალიფორნიის გუბერნატორმა სოციალურ ქსელ ტვიტერზე დადო.

„შენი რეიტინგი კატასტროფულად ეცემა. შენ ჭაობში იძირები. სხვას რას ელოდი, როდესაც სოციალურ დახმარებებსა და შემწეობებს აუქმებდი? ეს ის არ არის, რასაც შენ ამომრჩეველს ჰპირდებოდი,“ — აცხადებს შვარცენეგერი ვიდეომიმართვაში.

სუპერრობომობილი

რობოტული და კომპიუტერული ტექნიკის ექსპერტმა ჩანსენ სიაომ ავტომობილებისათვის უპილოტო სისტემის პროტოტიპი წარმოადგინა. ის ძირითადად განკუთვნილია ღამით და ცუდ მეტეოროლოგიურ პირობებში მოსიარულე რობომობილებისგან, თუმცა განსხვავებით Tesla-ს, Uber-ისა და Google-ს მიერ შექმნილი ანალოგიური ტექნოლოგიებისგან, მას არ სჭირდება ლიდარი და რადარი. სტარდატი Auto X სიაომ ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე შექმნა, თუმცა მან დღის სინათლე მხოლოდ მიმდინარე წლის მარტში იხილა.

კაფე ძილის მოყვარულთათვის

ტოკიოში გაიხსნა კაფე, სადაც დასაძინებელი ზონაცაა განთავსებული. როგორც უცხოური მედია წერს, კაფეში 10 საწოლია. ერთი საწოლის ღირებულება 9 ათასი დოლარია. საწოლზე დამონტაჟებულია ყურსასმენებიც, რომლის საშუალებითაც კაფის სტუმრები ძილის ფაზაში მალე გადავლენ. კაფის წესების მიხედვით, სტუმრებს კაფეში მოსვენება 2 საათის განმავლობაში შეუძლიათ, თუმცა ამისათვის მენიუდან რომელიმე კერძი უნდა შეუკვეთონ. ასევე კაფის ყველა სტუმარს, სურვილის შემთხვევაში, დაძინებამდე ერთ ფინჯან ყავა Nescafe-ს კოფეინის გარეშე მიართმევენ. კაფის სტუმარი ერთ ფინჯან ტრადიციულ ყავას გაღვიძების შემდეგ მიიღებს.

წყალქვეშა გემი ტურისტებისთვის



მალე ყველას მიეცემა შანსი თავი კაპიტან ნემოდ იგრძნოს. როგორც უცხოური მედია წერს, ჩინეთი და რუსეთი წყალქვეშა გემის შექმნაზე იწყებენ მუშაობას, რომელიც მხოლოდ ტურისტებისთვის იქნება განკუთვნილი. გემს 24 მეტრის სიღრმეზე 40 მგზავრის გადაყვანა შეეძლება.

ლონდონში თავდასხმების შედეგად 20-მდე ადამიანი დაშავდა

სროლა ბრიტანეთის პარლამენტთან. წარმომადგენელთა პალატის მიმდებარე ტერიტორიაზე თავდასხმის შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა. პარლამენტის პრეს-სამსახურის განცხადებით, ინციდენტისას 2 ადამიანი დაიჭრა. წარმომადგენელთა პალატის ლიდერის, დევიდ ლიდინგტონის ინფორმაციით, შეიარაღებული მამაკაცი თავს სამართალდამცავებს დაესხა და ერთი პოლიციელი დანით დაჭრა. საპასუხო სროლის შედეგად ის ადგილზე იქნა ლიკვიდირებული. ინციდენტიდან რამდენიმე წუთში ვესტმინსტერის ხიდზე მანქანამ 5 ადამიანი გაიტანა. პოლიციამ ხიდი რამდენიმე წუთში გადაკეტა. საკანონმდებლო ორგანომ მუშაობა დროებით შეაჩერა. ოფიციალური განცხადება მომხდართან დაკავშირებით პოლიციას ჯერ არ გაუკეთებია.

აიფონები... შიდსით დაავადებულთა დასახმარებლად

24 მარტიდან apple-ს მოყვარულებს ახალი დიზაინის „აიფონ 7“-ისა და „აიფონ 7 პლუსის“ შეძენის საშუალება ექნებათ. ახალი სმარტფონი ორიგინალური დიზაინით გამოირჩევა. „აიფონ 7“ წითელი ფერისაა. როგორც apple-ში აცხადებენ, წითელი ფერი შიდსთან ბრძოლის კამპანიას ეძღვნება. აღსანიშნავია, რომ ახალი დიზაინის „აიფონ 7“-ის გაყიდვებიდან შესული თანხის ნაწილი შიდსთან ბრძოლის ფონდში გადაირიცხება. წითელი აიფონის ფასი 1000 დან 1200 დოლარამდე მერყეობს.

„შექმენით ისეთი რამ, რაც დიდხანს იარსებებს“

დევიდ როკფელერის ცხოვრების გაკვეთილები და რჩევები

ამერიკელი მილიარდერი, ბანკირი და ფილანტროპი, დევიდ როკფელერი 101 წლის ასაკში გარდაიცვალა. როკფელერი ნიუ-იორკში, საკუთარ სახლში ძილში გარდაიცვალა.

მსოფლიოს უმდიდრესი ადამიანების რეიტინგით, რომელიც გამოცემა „ფორბსმა“ გამოაქვეყნა, როკფელერს 581-ე ადგილი ეკავა 3.3 მილიარდი დოლარით.

„ფორბსის“ ინფორმაციით, გარდაცვლილის ქონება 3,3 მილიარდ დოლარს შეადგენდა. მსოფლიოში ყველაზე მდიდარ ადამიანებს შორის კი ის 581-ე ადგილს იკავებდა. დევიდ როკფელერი, გამოირჩეოდა ქველმოქმედებით. „ნიუ ორკ თაიმსის“ ცნობით, მან 900 მილიონი დოლარის ქველმოქმედება განახორციელა. როკფელერს 6 შვილი დარჩა.

დევიდ როკფელერი 1915 წლის 12 ივნისს დაიბადა, ნიუ-იორკში. 1936 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტი დაამთავრა. სწავლობდა ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერების სკოლაში. 1942 წელს როკფელერი სამხედრო სამსახურში შევიდა და კაპიტნის წოდებას მიაღწია. ომის შემდეგ მან Chase Manhattan Bank-ში დაიწყო მუშაობა, რომლის პრეზიდენტიც 1961 წელს გახდა. 1981 წლის აპრილში ის გადადგა და მას შემდეგ საჯარო ცხოვრებას ნაკლებად ეწეოდა.

დევიდ როკფელერის ბაბუა — ჯონ როკფელერი მსოფლიოში პირველი მილიარდერი მამაკაცი იყო. ის იყო ნავთობკომპანია Standart Oil-ს დამფუძნებელი. სწორედ ნავთობის ბიზნესმა გახადა როკფელერების ოჯახი პირველი მილიარდერი მსოფლიოში.

გთავაზობთ დევიდ როკფელერის რჩევებს:

1. ცხოვრებაშიც და ბიზნესშიც მოგება მნიშვნელოვანია;

2. სამსახურში შეიძინეთ მეგობრები და გამოიმუშავეთ ფული;

3. ერთი ბოსი ყოველთვის უმჯობესია, ვიდრე — ორი;

4. განქორწინება და პოლიტიკა ძვირად ღირებული სიამოვნებაა;

5. იპოვეთ თქვენი ჰობი;

6. იპოვეთ კარგი მასწავლებელი;

7. ხელისუფლება ხალხის მსახურია და არა მათი მფლობელი;

8. ხალხთან მოპყრობის ცოდნა — პროდუქტია, რომლის ყიდვა ისევე შესაძლებელია, როგორც შაქრის ან ყავის. ასეთი ცოდნისთვის იმაზე მეტს გადავიხდი, ვიდრე სხვა რაიმე პროდუქტისთვის;

9. მამა და პაპა არასდროს გვაძლევდნენ იმის ფიქრის საშუალებას, რომ უზომოდ ბევრი ფული გვაქვს. ყოველთვის გვეუბნებოდნენ, რომ ფული ღმერთს ეკუთვნის და ჩვენ მხოლოდ განვკარგავთ მათ;

10. ბიზნესში წარმატებისთვის განათლება, დისციპლინა და თავდაუზოგავი შრომა არის საჭირო. თუ ეს ყველაფერი არ გაშინებთ, დღეს უფრო მეტი შესაძლებლობა არსებობს, ვიდრე ოდესმე ყოფილა;

11. არასდროს ვარ გაბრაზებული, ვარ მხოლოდ აღელვებული;

12. ხუმრობა და ფულის სესხება მოულოდნელად უნდა შეგეძლოთ;

13. შექმენით ისეთი რამ, რაც დიდხანს იარსებებს;

14. ხშირად მეკითხებიან, როგორ ვიცოცხლოთ დიდხანს? ყოველთვის ერთსა და იმავეს ვპასუხობ — იცხოვრეთ უბრალო ცხოვრებით, ითამაშეთ თქვენს შვილებთან ერთად და დატკბით იმ ყველაფრით, რასაც აკეთებთ;

15. დარწმუნებული ვარ, რომ მატერიალურ ნივთებს შეუძლიათ, შეგიქმნან სასიამოვნო ცხოვრება. მაგრამ თუ ძალიან კარგი მეგობრები და ნათესავები არ გყავთ, ცხოვრება ფუჭი და მოსაწყენი იქნება.

კომერსანტი

განაწყენებული უმრავლესობა ტრამპის წინააღმდეგ



უკვე მერამდენე კვირაა, რაც კალიფორნიაში მიმდინარეობს ხელმოწერების შეგროვება ამ შტატის ქვეყნის შემადგენლობიდან გამოყოფის შესახებ.

ევროკავშირიდან დიდი ბრიტანეთის გასვლის პროცედურის ანალოგიურად, ამ პროცესსაც შესაფერისი სახელი — კალექზითი — მოუგონეს. თუკი აქციის ორგანიზატორები 585 ათასზე მეტი ხელმოწერის შეგროვებას შეძლებენ, რეფერენდუმი 2019 წელს გაიმართება.

კალიფორნიას, რომელიც უწინ დამოუკიდებელი იყო, ძველი სეპარატისტული ტრადიციები აქვს, თუმცა კი მათ მძლავრი ბიძგი ქვეყნის პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევამ მისცა.

— ეს იმის თვალნათელი მაგალითია, თუ როგორ შეუძლია ტრამპის მოღვაწეობას ამერიკული ფედერალიზმის საფუძვლების შერყევა, — აცხადებენ ამერიკანისტი სპეციალისტები. **— ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ამერიკა ხვალვე დაიშლება, მით უმეტეს, რომ ქვეყნის კონსტიტუციაში ცალკეული შტატების კავშირიდან გასვლა გათვალისწინებული არ არის, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ცენტრიდანული ძალები იქ თანდათანობით ძალას იკრებენ: სააგენტოების რეიტერჰაიფსოსის მიერ ჩატარებული გამოკითხვით ირკვევა, რომ შეერთებული შტატებიდან გამოყოფას უკვე კალიფორნიელთა 32 პროცენტი უჭერს მხარს.**

თუმცა თუკი ამ დროისთვის დონალდ ტრამპი კვლავაც თეთრ სახლში იქნება, მისი პასუხი ძალიან ხისტი იქნება, რადგან ახლაც კი, როცა მას მარჯვნიდან თუ მარცხნიდან კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ, იგი დიდ მდგრადობას იჩენს. მაგალითად, ცოტა ხნის წინათ, მან ჩიკაგოს ხელისუფლები, სადაც მკვლელობათა რიცხვმა ბოლო დროს მკვეთრად იმატა, მკაცრად გააფრთხილა, რომ თუკი ამას ბოლო არ მოეღება, იგი ქალაქში ფედერალურ აგენტებს გაგზავნის.

ნინო ალექსანდრია

10 გამოგნებელი ფაქტი ჩრდილოეთ კორეის შესახებ

ჩრდილოეთი კორეა, ოფიციალურად კი კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, უნიკალური ქვეყანაა, თუმცა ამ სიტყვის მხოლოდ ნეგატიური გაგებით: ჩრდილოეთ კორეა მსოფლიოში ყველაზე იზოლირებული და თანამედროვე განვითარებას ჩამორჩენილი ქვეყანაა.

იზოლირების შედეგად, ქვეყნის შესახებ საკმაოდ მწირი ინფორმაციაა ცნობილი. თუმცა ვიცით, რომ ჩრდ. კორეა არის პატარა ზომის (120,540 კმ2), აგრესიული ქვეყანა, რომელსაც თავისი სამხედრო შეიარაღების დახმარებით არაერთი სახელმწიფოსთვის შეუძლია ზიანის მოტანა. higherperspectives.com გვთავაზობს 10 ფაქტს, რომელიც ჩრდ. კორეასთან დაკავშირებით უნდა ვიცოდეთ.

10. ქვეყნის ლიდერი, კიმ ჩენ ირი, ექსცენტრიკული და ბრუტალური დიქტატორია

1. ჩრდილოეთ კორეაში ნავთობი არაა, ამიტომ ავტომობილები ხეზე მუშაობენ

როგორი იქნება მსოფლიო, მოვლენათა ყველაზე ცუდი განვითარების შემთხვევაში ნავთობის გარეშე? კითხვაზე პასუხი ჩრდილოეთ კორეაში შეგვიძლია, ვეძებოთ. ავტომობილები ჩინეთში ხისგან და ქვანახშირისგან მიღებულ ენერგიაზე მუშაობენ. ცხადია, ეს ყოველივე ეკოლოგიურ პრობლემებს იწვევს და ჰაერში ნახშირორჟანგის გავრცელებას უწყობს ხელს.

2. ძვეძანაში არსებული ეკონომიკური პრობლემების დანახვა კოსმოსიდანაც შეიძლება

ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკასთან დაკავშირებით საკმაოდ მცირე ინფორმაცია არსებობს, თუმცა, სავარაუდოდ, ის მსოფლიოში ყველაზე სუსტი ეკონომიკის მქონე ქვეყანაა. მშპ ერთ სულ მოსახლეზე 41,800-ს შეადგენს (მსოფლიოში 197-ე მაჩვენებელი). შედარებისთვის, სამხრეთ კორეის მშპ 18-ჯერ, ხოლო აშშ-ის კი 28-ჯერ უფრო დიდი მოცულობისაა.

ჩრდილოეთ კორეაში 24 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. მათი ნახევარი უკიდურეს სიღარიბეშია. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 69 წელს შეადგენს. მოსახლეობა ძირითადად შეშის ღუმელით თბება, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ ცივი ზამთრის გადასატანად ისინი არამარტო შეშას, არამედ ნებისმიერ ნივთს იყენებენ, რაც ხელში მოხვდებათ. ჩრდილოეთ კორეაში მოსახლეობას ელექტროენერგია დღეში მხოლოდ რამდენიმე საათით მიეწოდება. ღამით კი კოსმოსიდან ჩრდილოეთ კორეის ტერიტორია მთლიანად სიბნელით არის დაფარული.

3. ჩრდილოეთ კორეაში მარიხუანასთან დაკავშირებული კანონმდებლობა არ არსებობს

სტატიის ავტორის მიხედვით, მარიხუანას ჩრდილოეთ კორეელები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებშიც ეწევიან და მისი შეძენა განსაკუთრებულ პრობლემას არ წარმოადგენს. ანონიმური წყაროს მიხედვით, კიმ ჩენ ირის მთავრობა მარიხუანას ნარკოტიკად არ აღიქვამს და ამიტომაც მის აკრძალვას არ აპირებს. სავარაუდოდ, მთავრობა მარიხუანას თამბაქოს ალტერნატივად აღიქვამს, რომლის შეძენასაც ჩრდ. კორეელები ვერ შეძლებენ.

4. ჩრდილოეთ კორეაში საკონცენტრაციო ბანაკები არსებობს

ადამიანებს საკონცენტრაციო ბანაკები მეორე მსოფლიო ომის პერიოდს ახსენებს, რასაც ნაცისტური გერმანიის ხელით, მილიონობით ადამიანის გარდაცვალება მოჰყვა. თუმცა, ჩრდ. კორეაში საკონცენტრაციო ბანაკები კვლავ არსებობს, სადაც ისეთივე სისასტიკე სუფევს, როგორც ჰიტლერის დროინდელ ბანაკებში. ნავარაუდევია, რომ სხვადასხვა პოლიტიკური მიზეზების გამო ჩრდილო კორეულ ბანაკებში 200,000-ზე მეტი ადამიანია დაკავებული. პატიმრების 40% საკვების ცუდი ხარისხის გამო კვდება. პატიმრების უმრავლესობას სიცოცხლის უკანასკნელ წამებამდე ამუშავებენ.

5. სკოლაში სიარული სავალდებულოა, თუმცა გარკვეული ხარჯის სანაცვლოდ

ჩრდილოეთ კორეელი ბავშვები სკოლაში საკუთარი მერხებითა და სკამებით უნდა გამოცხადდნენ. ამასთან, მათმა მშობლებმა გათბობის ფული უნდა გადაიხადონ. მშობლების გარკვეული ნაწილი მასწავლებლებს ქრთამს აძლევს, რათა შვილებმა სკოლაში არ იარონ.

6. ჩრდილოეთ კორეაში 105 წელია

ჩრდილოეთ კორეა განსხვავებულ კალენდარს იყენებს, რის გამოც ქვეყანაში დღეს არა 2017, არამედ 105 წელია. რატომ? კალენდრის ათვლის წერტილი ჩრდილოეთ კორეის რევოლუციური ლიდერის კიმ ირ სენის დაბადებიდან (1912 წლის 15 აპრილი) იწყება.

7. ჩრდილოეთ კორეაში არჩევნები ტარდება

მართალია, ჩრდილოეთ კორეაში არჩევნები ტარდება, თუმცა არჩევნებში მხოლოდ 1 მხარე იღებს მონაწილეობას. შესაბამისად, ამომრჩევლების 100% თავის უსაყვარლეს ლიდერს აძლევს ხმას.

8. ჩრდილოეთ კორეაში დასჯა სამ თაობაზე ვრცელდება

თუკი ჩრდილოეთ კორეაში დაიბადეთ და თქვენი ბებია დანაშაულს ჩაიდენს, დანაშაულში წვლილი თქვენც მიგიძღვით. უფრო მარტივად, დანაშაულზე პასუხისმგებელი მთელი ოჯახია. შედეგად, საკონცენტრაციო ბანაკებში 3 თაობის წარმომადგენლები ერთად ხვდებიან, რასაც მთავრობა „3 თაობის დასჯის წესს“ უწოდებს. საკონცენტრაციო ბანაკიდან ოჯახის 1 წევრის გაქცევის შემთხვევაში კი, მთელ ოჯახს ხოცავენ.

9. კიმ ირ სენი ჩრდილოეთ კორეის ერთადერთი ჟეშმარიტი ლიდერია

კიმ ირ სენი რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა, თუმცა სიკვდილის შემდეგ იგი მუდმივ პრეზიდენტად გამოცხადდა, რომელსაც ქვეყანას საიქიოდან მართავს. სწორედ ეს დაეხმარა კიმ ირ სენის შვილსა და შვილიშვილს ძალაუფლების მარტივად გადაბარებაში: ძალაუფლება ჩრდილოეთ კორეაში მემკვიდრეობით გადადის.

10. ქვეყნის ლიდერი, კიმ ჩენ ირი, ექსცენტრიკული და ბრუტალური დიქტატორია

კიმ ჩენ ირს განათლება ევროპაში აქვს მიღებული. როდესაც ახალგაზრდა კიმ ჩენ ირი ქვეყნის სათავეში მოვიდა, გაჩნდა ვარაუდი, რომ იგი პროგრესულ რეფორმებს განახორციელებდა, რაც არ გამართლდა: კიმ ჩენ ირი მამისა და ბაბუის გზას უცვლელად განაგრძობს.

კიმ ჩენ ირი ძალიან საინტერესო პერსონაა:

ა) ის არის მსოფლიოში ერთადერთი გენერალი, რომელსაც სამხედრო გამოცდილება არ გააჩნია;

ბ) გაიკეთა პლასტიკური ოპერაცია, რათა ბაბუას უფრო მეტად დამსგავსებოდა;

გ) აღფრთოვანებულია მაიკ ჯორდანით;

დ) სახელმწიფო ტელევიზიამ პირდაპირ ეთერში აჩვენა, თუ როგორ „მართავდა“ კიმ ჩენ ირი თვითმფრინავს. „მან მართვა ინსტრუქციის ერთი გადაკითხვით ისწავლა და ამის გაკეთება ერთი ხელითაც შეუძლია!“ — ამბობდა გადაცემის წამყვანი.

◎ წინ, საქართველო!

მადიევს - „ოქრო“, გურულს - „ვერცხლი“

მარცხნიდან – ლაშა გურული, ლაშა დუნდუა და ესკერხან მადიევი

საქართველოს შვიდი სპორტსმენი (მთავარი მწვრთნელი ლაშა დუნდუა) მონაწილეობდა 22-წლამდელ მოკრივეთა ევროპის ჩემპიონტში. რუმინულმა ბრაილამ, სადაც ეს შეჯიბრება გაიმართა, კონტინენტის 34 ქვეყნის წარმომადგენლებს მოუყარა თავი. ქართველთაგან განსაკუთრებით 20-წლამდელებში ევროპის შარშანდელმა ჩემპიონმა ესკერხან მადიევმა (69) და ლაშა გურულმა (64 კგ) იყოჩაღეს, რომლებმაც, შესაბამისად, ოქროს და ვერცხლის მედლები დაიმსახურეს.

თბილისელმა მადიევმაზედიზედ ხუთი მეტოქე დაამარცხა: სტარტზე ბულგარეთის სახელით მოასპარეზე რობერტ ჩამასანიანი დაჯაბნა, მერე მასპინძელი მარიან პიტა და ინგლისელი კარლ ფაილი ჩამოიშორა გზიდან, ნახევარფინალში გერმანელ პაულ ველის მოუგო, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში რუს ვლადისლავ საოსტიანოვს აჯობა და ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა.

მსგავს წარმატებამდე მცირედი დააკლდა გურულს, რომელმაც შეჯიბრება რუსი ანდრეი კირიჩენკოს ძლევით დაიწყო. მერე მის გზას გაუყენა ჰადი სრური (ნორვეგია) და მასპინძელი დანიელ კრისტოფერ კოსტია, ნახევარფინალში იტალიელი პაოლო დი ლემია დაჯაბნა, ფინალი კი ინგლისელ ლიუკ მაკკორმაკთან დათმო და მეორე ადგილს დასჯერდა.

საქართველოს ნაკრების დანარჩენმა წევრებმა – არტუშ გომციანმა (56 კგ), ნოდარ დარბაიძემ (60), კონსტანტინე ხვისტანმა (75), რატი ტლაშაძემ (81) და ახალგაზრდებში 2016 წლის მსოფლიოს პირველობის ვერცხლის პრიზიორმა გიორგი ჭიღლაძემ (+91) ადრევე გადაინაცვლეს მაყურებლებში.

ლაშა დიდია

◎ ხელბურთი

მეტოქეთა ვინაობა გაირკვა

2018 წლის დეკემბერში საფრანგეთი ხელბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი 32-მა ფედერაციამ გამოთქვა. აქედან ექვსი ქვეყანა (ფინეთი, ისრაელი, ფარერის კუნძულები, კოსოვო, საბერძნეთი და საქართველო) წლეულს 9-11 ივნისს პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში ორ უძლიერესს გამოავლენს. ევროპის ხელბურთის ფედერაციის შტაბ-ბინაში გამართული წილისყრით ისინი ორ სამ-სამგუნდიან ჯგუფში გადანაწილდნენ:

I ჯგუფი: ფინეთი, ფარერის კუნძულები, საბერძნეთი.

II ჯგუფი: ისრაელი, კოსოვო, საქართველო.

უტევს მედეა ჩოხელი

წრიულ ტურნირს კოსოვო და ფარერები უმასპინძლებენ, ხოლო მათი უარის შემთხვევაში ეს უფლება საბერძნეთსა და საქართველოს გადაეცემათ. ჯგუფების გამარჯვებულები გავლენ მთავარ შესარჩევ რაუნდში, რომელიც უკვე ორ წრედ, მიმოსვლით, გაიმართება 2017 წლის სექტემბრიდან 2018 წლის ივნისამდე. 28 გუნდი 7 ჯგუფში 15 საგზურისთვის იბრძოლებს. ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასულნი და საუკეთესო მესამეადგილოსანი საფრანგეთში გაემგზავრება.

ლექსო ცინცაძე

◎ კალათბურთი

ზაზა მეორე ათასეულს შეუყვა

ზაზა ფაჩულია იმ ქალაქში ჩავიდა სათამაშოდ, რომლის გუნდშიც 13-წლიანი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი გაატარა. წინა რეგულარულში ფაჩულია „დალას მავერიქსში“ საშუალოდ ორმაგ დუბლს ითვლიდა და დირკ ნოვიცკისთან ერთად კლუბის ერთ-ერთი ლიდერი იყო, რის შემდეგაც მას კონტრაქტი „გოლდენ სტეიტმა“ შესთავაზა და მიუხედავად სხვა, ძვირად ღირებული წინადადებებისა, ქართველი ცენტრი ოკლენდურ გრანდში გადავიდა.

ტეხასიდან წასვლის შემდეგ ფაჩულია გუშინ პირველად ჩავიდა დალასში და „გოლდენ სტეიტს“ გამარჯვებაში დაეხმარა. ქართველმა ცენტრმა პრინციპულ შეხვედრაში მნიშვნელოვან ზღურბლს გადააბიჯა. „დალასთან“ მატჩი ზაზასთვის 1001-ე იყო ნბა-ში მის 13-წლიან კარიერაში. ფაჩულიას 950 რეგულარული ჩემპიონატისა და 51 პლეი ოფის მატჩი აქვს ჩატარებული ნბა-ს 5 გუნდის – „ორლანდოს“, „მილუოკის“, „ატლანტას“, „დალასის“ და „გოლდენ სტეიტის“ შემადგენლობებში.

აღნიშნულ მატჩში ფაჩულია ტრადიციულად სასტარტო ხუთულში იყო. ზაზამ 14 წუთი ითამაშა და 3-დან სამივე ორქულიანი ჩააგდო. ქართველმა ცენტრმა შეხვედრა 6 ქულითა და 6 მოხსნით დაასრულა. დალასელებმა სტუმრებს მხოლოდ პირველ პერიოდში აჯობეს, რომელიც 30:28 მოიგეს. მეორე მეოთხედიდან მოყოლებული ინიციატივა ოქროსშტატელებმა მოიპოვეს და დიდ შესვენებაზე უკვე 12 ქულას იგებდნენ. „გოლდენ სტეიტმა“ საბოლოოდ 112:87 იმარჯვა.

ოკლენდელთაგან 23 ქულით გამოირჩეოდა კლეი ტომპსონი,. 17 ქულა და 9 პასი სტეფ კარიმ მიითვალა, ხოლო 18 ქულა სათადარიგო იან კლარკმა მოაგროვა. დალასელთაგან საუკეთესო იყო ვეტერანი დირკ ნოვიცკი, რომელმაც შეხვედრა 16 ქულითა და 9 მოხსნით დაასრულა.

დალასში წარმატება ოკლენდელთათვის ზედიზედ მე-6 გამარჯვება იყო, რამაც ფაჩულიას გუნდს ლიდერობა გაუმყარა. „გოლდენ სტეიტს“ უკვე 57 მოგება და 14 მარცხი აქვს. მომდევნო მატჩს „უორიორზი“ ზეგ შინ თანაშტატელ „საკრამენტოსთან“ გამართავს.

შენგელიამ ორმაგებს მოუხშირა

ევროლიგის XXVII ტურში მორიგი თამაში მოიგო ესპანურმა “ბასკონიამ“, რომლის რიგებშიც ნელ-ნელა ჩვეულ კონდიციებს იბრუნებს თორნიკე შენგელია. ამჯერად ბასკებმა გერმანიაში აუტსაიდერი „ბამბერგი“ გაანადგურეს – 96:71.

თორნიკე სასტარტო ხუთეულში იყო და პარკეტზე ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ. ქართველმა 24 წუთში ორმაგი დუბლი გაიფორმა: 16 ქულა, 12 მოხსნა, 2 პასი. შენგელიამ 12-დან რვა ორქულიანი ჩააგდო, ხოლო თითო სამქულიანი და საჯარიმო არაზუსტად ესროლა. რაც შეეხება მოხსნებს – ოთხჯერ ბურთი მეტოქის ფარზე მოხსნა. საბოლოოდ ქართველი შედეგიანობით თანაგუნდელებში ჩეის ბუდინგერსა და შეინ ლარკინს ჩამორჩა (17-17 ქულა), ხოლო მარგი ქმედების კოეფიციენტი 22 ჰქონდა. ამ მხრივ მას მხოლოდ ბუდინგერმა აჯობა – 25.

აქვე შეგახსენებთ, რომ თორნიკე შენგელია ევროლიგის გასული ტურის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა და ნაკლებად არც ახლა უთამაშია.

„ბასკონიას“ 27 თამაშში 16 მოგების წილ 11 მარცხი აქვს და მეხუთე პოზიციაზეა. ბასკები მომდევნო შეხვედრას ხვალ, შინ ათენის „პანათინაიკოსთან“ ჩაატარებენ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ წილისყრის შემდეგ

ჯანლუიჯი ბუფონი: „ბარსელონასთან“ დაპირისპირება საშინელებაა“

ტურინის „იუვენტუსის“ მეკარეს ჯანლუიჯი ბუფონს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ ეტაპზე „ლესტერთან“ თამაში არ სურდა, თუმცა, იგი თავის შეხედულებას ცვლის და ამბობს, რომ „ბარსელონასთან“ ორ მატჩში დაპირისპირება საშინელება იქნება.

ბუფონმა სერია A-ში „სამპდორიას“ წინააღმდეგ გამართულ შეხვედრაში ახალი რეკორდი დაამყარა, ახლა კი სურს ჩემპიონთა ლიგაშიც გამოიჩინოს თავი.

„ბარსელონასთან“ ორი მატჩის თამაში საშინელებაა, თუმცა, მაყურებელი ლამაზ ბრძოლას იხილავს. იმედია, დასასრული სენსაციური იქნება“, – თქვა ბუფონმა.

შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსსა“ და „ბარსელონას“ შორის მატჩები 11 და 19 აპრილს გაიმართება.

გიორგი შოთაძე

◎ ერიჰა!

„გოლეადორის“ უხვი მოსავალი

ბურთიანი ჰოკეის (რომელსაც ხშირად რუსულსაც უწოდებენ, ვინაიდან მათ და კიდევ რამდენიმე ქვეყნის სპორტსმენებს გარდა ამ თამაშს მსოფლიოში სხვა არ თამაშობს – რედ) ისტორიაში ყველაზე გასაოცარი შეხვედრა ცოტა ხნის წინათ არხანგელსკში გაიმართა.

თებერვლის მიწურულს იქ ადგილობრივმა „ვოდნიკმა“ ირკუტსკის „ბაიკალ-ენერგიას“ უმასპინძლა. ქვეყნის ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრის პირველი ტომი ყველასათვის მოსაწყენი ნულოვანი ფრეთი დასრულდა, სამაგიეროდ 68-ე წუთიდან მოყოლებული მცირერიცხოვანმა მაყურებელმა გოლების ჭეშმარიტი „წვიმა“ იხილა – სწორედ მაშინ იყო, რომ „ვოდნიკის“ მოთამაშეებმა პირველი გოლი გაიტანეს, ოღონდ... საკუთარ კარში.

სპორტის მოყვარულთათვის საჭირო ნამდვილად არ არის იმის განმარტება, რომ ავტოგოლი ნებისმიერ თამაშში უნებლიე შეცდომის, ერთგვარი დაუდევრობის შედეგია, მაგრამ აღნიშნულ ორთაბრძოლასთან დაკავშირებით ამის თქმა თუნდაც იმიტომ არ შეიძლება, რომ მსგავსი „დრამატული“ მომენტი ამ პაექრობაში – არც მეტი, არც ნაკლები! – 20-ჯერ (დიახ, ოცჯერ!) განმეორდა. „ვოდნიკის“ კარში 11 ბურთი გავიდა, „ენერგიისაში“ – 9 და აკი ვთქვით, ყველა მათგანი ჰოკეისტებმა საკუთარ კარში გაიტანეს.

ასეთი კატასტროფული „უიღბლობა“ მსოფლიო სპორტის ისტორიაში მანამდე ცნობილი არ ყოფილა.

თუმცა კი ისიც უნდა ითქვას, რომ სასწაული „გაუმართლებლობის“ ამბავი სერიოზულად არც არავის აღუქვამს. საქმე ისაა, რომ მიზეზთა გამო ზოგჯერ ისეც ხდება, რომ რომელიღაც გუნდს გამარჯვება „არ აწყობს“ და ისიც ყოველ ღონეს ხმარობს კონკრეტული შეხვედრის წასაგებად. ასეთი გუნდი ამ შემთხვევაში „ვოდნიკი“ იყო, „ბაიკალ-ენერგია“ კი მას „ვალში“ არ რჩებოდა.

წესით და რიგით, ბურთიანი ჰოკეის ფედერაციას (რომლის ერთ-ერთი თავკაცი, სხვათა შორის, კრივში მძიმე წონაში მსოფლიოს

ექს-ჩემპიონი ნიკოლაი ვალუევია!) სპორტული ღირსების შელახვისა და მაყურებლის უპატივცემლობისთვის, ჰოკეისტებისთვის, რომ იტყვიან, „ყურები უნდა დაეხია“, მაგრამ აღნიშნული „ინოვაციის“ შემოქმედნი თავს ახლაც ძალიან ლაღად გრძნობენ.

ამას კიდევ ის შეიძლება დავუმატოთ, რომ ამ „ისტორიული“ შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე, 28 წლის ოლეგ პივოვაროვი, შეხვედრის ნამდვილი „გმირი“ გახდა: „ვოდნიკის“ მიერ გატანილი თერთმეტივე ავტოგოლი მის ანგარიშზეა და ამჟამად იგი „ბომბარდირთა“ სიის სათავეშია მოქცეული.

ნინო ალექსანდრია

◎ დედაქალაქი

ამოყრილი ლიანდაგებით ჩახერგილი უწყლო სკვერი

თბილისისთვის, რომლის უკლებლივ ყველა უბანი მცენარეთა ნარგავების, სიმწვანის უმწვავეს დეფიციტს განიცდის, ნებისმიერი ახალი, თუნდაც, რომ იტყვიან, „ცხვირსახოცისხელა“ სკვერის გაჩენა დიდად სასიხარულო ამბავია არა მარტო იქვე ახლომახლოში მცხოვრებთათვის, არამედ ყველა ქალაქელისთვის.

ერთი ასეთი სასიხარულო ამბავი ცოტა ხნის წინათ ნაძალადევის რაიონის, ზღვის უბნის დასახლების მე-11 მიკრორაიონში მოხდა, სადაც სამედიცინო ცენტრის „ღია გულის“ მოპირდაპირე მხარეს ოდესღაც არსებულ სკვერს თბილისის მერიის და ნაძალადევის გამგეობის შესაბამისი სამსახურების თანამშრომლებმა ახალი სიცოცხლე შთაბერეს. განახლებულ მწვანე კუთხეში ბილიკებზე ახალი ქვაფენილი დაიგო, დაიდგა კოპწია სკამები, ბავშვების გასართობი ატრაქციონები. მოკლედ, მშვენიერი დასასვენებელი კუთხე გაუჩნდათ როგორც ადგილობრივ მცხოვრებთ, ასევე კარდიოლოგიური კლინიკის პაციენტებსა და მათ მოსანახულებლად მოსულ ახლობლებს.

ყველაფერი ხომ კიდევ უფრო მშვენიერი იქნებოდა, რომ არა ორი „მაგრამ“, რომელთა მსგავსი, სამწუხაროდ, ბევრ კარგად გაკეთებულ საქმეს მთლად თუ არ აფუჭებს, ყოველ შემთხვევაში, მისგან მიღებულ სიხარულსა და სიამოვნებას ჩრდილს კი ნამდვილად აყენებს.

ერთი ის გახლავთ, რომ არც სამედიცინო ცენტრის ბაღში, არც ახლადშეკეთებულ სკვერში, სადაც უფროსებთან ერთად ბევრი ჩვენი პატარა თანამოქალაქეც ერთობა, თამაშობს, დარბის და დახტის... სასმელი წყლის არც ერთი შადრევანი არ არის(!!).

და მეორე: უწინ დიდუბის მეტროს სადგურიდან თბილისის ზღვამდე ტრამვაი დადიოდა, რომელიც, სრულიად გაურკვეველი მიზეზით დედაქალაქის მაშინდელმა ვაი-მამებმა მოსპეს, მაგრამ ლიანდაგები მიწაში დატოვეს. რამდენიმე ხნის წინათ კი რამდენიმე ტონა ეს უკვე ჯართად ქცეული ლიანდაგები ამოყარეს და გასული შემოდგომიდან მოყოლებული უპატრონოდ დაყარეს განახლებული სკვერისა და სამედიცინო ცენტრის წინ.

ამასთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვა გვინდა დავუსვათ ნაძალადევის რაიონის გამგეობის ხელმძღვანელობას: ბატონებო, თუ თქვენდამი რწმუნებული რაიონის ქუჩების მდგომარეობა და მოსახლეობის კომფორტი დიდად არ გადარდებთ (ჯერ ერთი რატომ, განა სხვა ბევრი მოვალეობა გაკისრიათ?), განა ამ ქონების პატრონობა კანონით მაინც გმართებთ? ხოლო თუკი ეს თქვენს კომპეტენციაში არ შედის, მაშინ ვისაც ამ საკითხის გადაჭრა ევალება, ეს ამბავი რატომ არ აწუხებთ? საერთოდაც, განა არ არის დრო ხეირიანად, ხარისხიანად მუშაობა და სწრაფად მოქმედება ყოველგვარი შეძახილის გარეშე ისწავლოთ?

ოთარ ტურაბელიძე,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

გამოსათხოვარი

ნოდარ ემუხვარი, რომან მახარაძე, რამაზ კუტუბიძე, რამაზ ხეცურიანი, გია ავალიშვილი, კოკი კეკელიძე და ზაურ ფხალაძე ღრმა მწუხარებას გამოხატავენ სახელოვანი ქართველი ხელოვანის, საქართველოს სახალხო არტისტის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ერთ-ერთი გამორჩეული მომღერლის, ბატონ

გია ჭირაქაძის

გარდაცვალების გამო და გულითადად უსამძიმრებენ მის ოჯახს, 1955 წლის თბილისის მე-7 რკინიგზის სკოლადამთავრებულებს (თანაკლასელებს) და მთლიანად საქართველოს.

ხსოვნა

მიხეილ ოსაძის გახსენება

23 მარტი მიშას დაბადების დღეა. ყოველ წელს შენი მეგობრები ვიკრიბებით შენს საფლავზე და რუდუნებით ვიხსენებთ შენთან გატარებულ წლებს. უშიშროებისა და შს სამინისტროს ღირსეული მუშაკი, გენერალი, უსპეტაკესად რომ დარჩები შენი უმწიკვლო ცხოვრების წესით, ესეც კმარა იმისათვის, რომ შთამომავლობამ იამაყოს. გამორჩეული პარლამენტარის სახელი დაიმკვიდრე საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, სადაც წლების განმავლობაში, კანონიერებისა და წესრიგის დაცვის საპარლამენტო კომისიას თავმჯდომარეობდი.

ჩვენო საყვარელო ბატონო მიშა, როგორც ყოველთვის, შენს ძვირფას ოჯახს ისეთივე გულის სითბოს ვუწილადებთ, როგორც შენს სიცოცხლეში.

ნათელში გამყოფოს უფალმა!

თენგიზ ქავთარაძე, ვახტანგ კიკნაძე, ვიტალი ხაზარაძე, დემურ გადელია, ელიზბარ ლომინაძე, თენგიზ კალანდაძე, გურამ ყურაშვილი, გურამ გუნავა, ლაური მანაგაძე, კოტე ყიფიანი, თემურ კალანდაძე, დავით ზეიკიძე, პეტრე ბერაია.

განცხადება დია ტენდერის ჩატარების შესახებ

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)
სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR)

საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი და გრანტი (IFAD Loan #: 2000000778; IFAD Grant 2000000248) სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტის (AMMAR) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული ხარჯების **გორის მუნიციპალიტეტში არსებული „ძევერა შერთულის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის პკ95+25-დან პკ122+88-მდე მონაკვეთის და I, სხვა რიგის გამანაწილებლებისა და შიდა სამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია გ-19-დან გ-34-მდე“, ნაწილი III-ბ.**

კონტრაქტით №: *AMMAR/CW/2017/04*

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად. <u>**კონტრაქტის ხანგრძლივობაა 8 თვე.**</u>

2. კონტრაქტის მინიჭებისათვის კონკურსის მონაწილეებმა უნდა დააკმაყოფილონ შემდეგი **საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

- ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური მოცულობა ეროვნულ ვალუტაში – **1,600,000** ლარი დღგ–ს ჩათვლით
- ბოლო 3 წლის განმავლობაში გენერალური კონტრაქტორის როლში მინიმუმ 1 ანალოგიური ხასიათის და სირთულის, მინიმუმ **850,000 ლარის** (დღგ–ს ჩათვლით) ღირებულების სამუშაოთა ჩატარების გამოცდილება (ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად სამუშაოები არა ნაკლებ 70%–ით უნდა იყოს დასრულებული).
- კონკურსის მონაწილის ლიკვიდური აქტივების და/ან საკრედიტო სახსრების (სხვა საკონტრაქტო ვალდებულებების გამოკლებით) მინიმალური ოდენობაა – **200,000 ლარი.**

3. ქართულ ენაზე საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის შეძენა დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ **2017 წლის 23 მარტიდან** (ყოველდღე 12:00-დან 16:00 საათამდე) ქვემოთ მითითებულ მისამართზე წარდგენილი წერილობითი მოთხოვნისა და ქვემოთ მითითებულ რეკვიზიტებზე **50** ლარის ოდენობის დაუბრუნებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე.

გადახდა უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვით შემდეგ რეკვიზიტებზე:

ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22;

ანგარიშის ნომერი / სახაზინო კოდი: 302004400;

გადახდის დანიშნულებაში აუცილებელია მიუთითოთ სადეპოზიტო ქვე-კოდი -4411.

4. საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების გახსნის დღიდან 90 დღის განმავლობაში და მას უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების საბანკო გარანტია (გამოშვებული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ) საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე <u>სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ვადით და ფორმის მიხედვით.</u> საკონკურსო წინადადება უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს ***2017 წლის 20 აპრილის 12:00 საათისა,*** როდესაც ისინი გაიხსნება დასწრების სურვილის მქონე კონკურსანტების თანდასწრებით.

5. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაურუნდებათ გაუხსნელი.

მისამართი:

ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის №6, მე-3 სართული, ოთახი 309;

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD);

სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომის და მდგრადობის პროექტი (AMMAR).

ქუთაისში გამყიდველმა გოგონამ მაღაზიაში შეჭრილი ყაჩაღი სცემა

ქუთაისში, ბუხაიძის ქუჩაზე მდებარე მაღაზიის დაყაჩაღების მცდელობისთვის ერთი პირი დააკავეს.



შემთხვევა მიმდინარე წლის 21 მარტს 24 საათზე მოხდა. დაყაჩაღების მცდელობის დროს შენობაში სასურსათო მაღაზიის ორი თანამშრომელი იმყოფებოდა. ისინი ჩვენთან საუბარში განმარტავენ, რომ მაღაზიაში ერთი შეიარაღებული პირი შეიჭრა, რომელმაც თანხის გამოძალვა სცადა.

„ახალგაზრდა ბიჭი კეპის ქუდით და დანით ხელში შემოვარდა და ჩვენი შეშინება სცადა. ალბათ ეგონა, რადგან გოგოები ვიყავით, შეგვაშინებდა, მაგრამ პირიქით მოხდა. არ შევშინდი და საკუთარი ხელებით ვცემე. ისეთ დღეში ჩავაგდე პატრულის მოსვლას ნატრულობდა. ამასობაში მეორე თანამშრომელმა პატრულს გამოუძახა და ისიც 10 წუთში მოვიდა“, – ამბობს მარკეტის თანამშრომელი.

ბუხაიძის ქუჩის მცხოვრებლები განმარტავენ, რომ პირი, რომელმაც მარკეტის დაყაჩაღება სცადა, ამავე უბანში ცხოვრობს. ადგილობრივების ინფორმაციით, ახალგაზრდა წარსულშიც ნასამართლევია.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში ბუხაიძის ქუჩაზე მარკეტის დაყაჩაღების მცდელობას ადასტურებენ და აცხადებენ, რომ ეჭვმიტანილი ცხელ კვალზე დააკავეს.

ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა

ავტოსაგზაო შემთხვევა აღმაშენებლის ხეივანში გუშინ დილით მოხდა. არსებული ინფორმაციით, „ბე ემ ვეს“ მარკის ავტომანქანა დედა-შვილს დაეჯახა, რომლებიც გზაზე გადადიოდნენ. შემთხვევის შედეგად მცირეწლოვანი გარდაიცვალა, ხოლო დედა რკინიგზის ყოფილ საავადმყოფოშია გადაყვანილი. დაშავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

ის თვითონ იყო პოეზია...

გენო კალანდიას,
„საგალობლები უფლისადმი“-ს
ავტორს.

წავიდა ჩვენგან, ვიხსენებ და: ცრემლები მომდის...
ის არ ყოფილა შემოქმედი ახალი „მოდის“,
იყო პოეტი კლასიკური, ტრადიციული,
პოეზიასთან, აპოლონთან ძმადშეფიცული.

ის თვითონ იყო პოეზია, იყო ლეგენდა,
ის იყო კაცი ღირსეული, ცოტათი „მახვშიც“,
დაფასებული კაცი იყო ის თავის ხალხში,
ის მნიშვნელოვან პიროვნებას წარმოადგენდა.

ცხოვრობდა იგი ჩემს ქალაქში, „თეთრ ხიდთან“ ახლოს,
მასთან გაცნობა გუშინდელი დღესავით მახსოვს.
ჩემს სახლშიც იყო ის ნამყოფი, დამდო პატივი,
მე გული მისკენ მიმიწევდა ანდამატივით.

ქორწილში მაყრად წამიყვანა ჯერაც ყმაწვილი...
საკუთარ ლექსებს მიკითხავდა ჯერ კიდევ ყმაწვილს.
პოეზიაში დიდი არის ამ კაცის წვლილი,
პოეზიისთვის ძვირფასია ამ კაცის ღვაწლი.

იდიდე მარად შემოქმედის ჯიშო და გენო.
ღმერთმა აცხონოს შენი სული, ძვირფასო გენო.

ბაგრატ ბადიდი

გარდაიცვალა ბატონიშვილი ბაგრატიონ-მუხრანელი

ესპანეთში 68 წლის ასაკში გარდაიცვალა ბატონიშვილი ბაგრატ ირაკლის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი, ბავარიელი და ბურბონი, ბაგრატიონთა სამეფო სახლის მეთაური ევროპაში.

იგი 1921 წელს გასაბჭოების შემდეგ საქართველოდან წასული ბატონიშვილის ირაკლი ბაგრატიონისა და ესპანეთის ბურბონთა სამეფო სახლის წევრის – ინფანტა მარია-მერსედეს გავიერას შთამომავალი იყო.

მიწისძვრა საქართველოში

საქართველოში მაგნიტუდით 3.2 მიწისძვრა მოხდა.



მიწისძვრის ეპინცენტრი ქალაქი ბაღდათის სოფელ ქვედა ზეგანთან აღირიცხა.

◎ ფეისბუქიდან

„ფორბსი“ – ბიძინა ივანიშვილის ქონება შემცირდა

„ფორბსის“ 2017 წლის მილიარდერთა რეიტინგში საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ქონება შემცირდა.

წინა წლის რეიტინგთან შედარებით ივანიშვილი 298-დან 367-ე პოზიციაზე დაქვეითდა.

„ფორბსის“ ბოლო მონაცემებით საქართველოს ყოფილი პრემიერის ქონება დღეისათვის 4,5 მილიარდი დოლარია. გასული წლის რეიტინგში მისი ქონება 4,8 მილიარდი დოლარი იყო, 2015 წლის რეიტინგში კი ბიძინა ივანიშვილი 291-ე პოზიციას იკავებდა 5,2 მილიარდი დოლარით.

„ფორბსის“ მილიარდერთა რეიტინგის თანახმად, მსოფლიოს ყველაზე მდიდარ ადამიანად კვლავ რჩება „მაიკროსოფთის“ თანადამფუძნებელი ბილ გეიტსი, რომლის ქონება 86 მილიარდი დოლარია. მეორე პოზიციაზეა უიორენ ბაფეტი – 75,6 მილიარდი დოლარით, ხოლო მესამეზე – ჯეფ ბეზოსი 72,8 მილიარდი დოლარი.

საერთო ჯამში, „ფორბსის“ მონაცემებით, ბოლო 12 თვის განმავლობაში მსოფლიოში მილიარდერთა რაოდენობა 13 პროცენტით – 2043-მდე გაიზარდა და ჯამში 7,6 ტრილიონი დოლარი შეადგინა.

ოქრო... კვამლიდან

ჯერ კიდევ უხსოვარ დროში ადამიანებმა შენიშნეს, რომ დამწვარ ნახშირში შეიძლება რჩებოდეს ძვირფასი კომპონენტები, მათ შორის, ოქრო. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ამ შემთხვევაში ოქრო მიკრონაწილაკების სახითაა და ჩვეულებრივი ხერხებით მისი ამოღება შეუძლებელია.

წვის პროცესის შედეგად ოქრო თავისუფლდება და ბოლთან ერთად მიფრინავს. ამიტომ, მეცნიერებმა გადაწყვიტეს კვამლის ქვაბიდან გამოსვლის დროს მისი საგანგებო დანადგარებით გაწმენდა. რუსეთელმა მეცნიერებმა ამურის სამეცნიერო ცენტრიდან დაადგინეს, რომ რეალური ოქროს ერთი გრამის მისაღებად საჭიროა რამდენიმე ტონა ქვანახშირის დაწვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთი ადგილობრივი თბოელექტროსადგურიდან, მისი სათანადო დანადგარით აღჭურვის შემთხვევაში, წელიწადში ორ ტონამდე ოქროს მიღება შეიძლება.

როცა ფული სასურველი სტუმარია

ჩინური ფილოსოფიით, ფული – ეს ჩვეულებრივი ენერგიაა, ოღონდ ფიზიკურ გარსში მოქცეული. ვიღაცასთან ფული ნაკადად მოედინება, ვიღაცას უცბად უქრება – ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ეპყრობა ფულს პიროვნება.

თუკი კაცი საკუთარ თავთან და გარშემო მყოფებთან ჰარმონიაში ცხოვრობს და სიმდიდრის მიმართ პატივისცემაც აქვს, მაშინ იგი ფულის ენერგეტიკასაც მიიზიდავს. ხოლო თუ იგი მიიჩნევს, რომ ფული „ბოროტებაა“, მაშინ რაღა გასაკვირია, თუკი ის მას არა აქვს? განა არის ქვეყანაზე კაცი, რომელიც საკუთარ თავს ბოროტებას უსურვებს? არადა, ზოგიერთ ადამიანს თავი მდიდარ კაცად საერთოდაც ვერ წარმოუდგენია.

გინდათ, რომ ფული თქვენს სახლში დასახლდეს? მაშინ მას კომფორტული გარემო უნდა შეუქმნათ.

გახსოვდეთ: **ფული არასდროს დაიდებს ბინას სახლში, რომელშიც ქაოსი და უწესრიგობა სუფევს**. ამიტომაც ქრონიკულ უფულობასთან ბრძოლა იმით დაიწყეთ, რომ ყველაფერი ზედმეტი და, მით უმეტეს, გატეხილი, გადააგდეთ. განსაკუთრებით კი მოუწესრიგებელ ონკანებს ეხება, რადგან მოწანწკარე წყალთან ერთად ოჯახიდან კეთილდღეობა გაედინება.

ფულის ენერგიას ქაღალდებშიც წესრიგი უყვარს, ამიტომაც ყველა ქვითარს ერთ საქაღალდეში მოუყარეთ თავი და კარადაში შეინახეთ.

მერე მათგან ნაღდ ფულს თავი მოუყარეთ. ყველაფერი გადათვალეთ და მიღებული შედეგი ფურცელზე ჩაიწერეთ. სწორედ ის იქნება ციფრების ენით გამოსახული თქვენი ფულადი ენერგია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4491; ევრო - 2.6453;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0530;
100 რუბლი - 4.2862; თურქული ლირა - 0.6795;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4364;
1000 სომხური დრამი - 5.0654.

ამინდი 23 მარტისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -1 დღე +15
მთიანი რაიონები - ღამე -6, დღე +12
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +1, დღე +15
მთიანი რაიონები - ღამე -5, დღე +12
თბილისი: ღამე +1, დღე +15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge